პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

5 დეკემბერი ოთხშაბათი 1973 წელი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 283 (15700)

5 დეკემბერი სსრ კავშირის კონსტიტუციის დღეა

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა კონსტიტუცია

დიდი სიამაყის გრძნობით აღნიშნავს საბჭოთა ხალხი სსრ კავშირის კონსტიტუციის დღეს. საბჭოების ქვეყნის ძირითად კანონში განმტკიცებულია ჩვენი ხალხის დიადი მონაპოვრები, მსოფლიოში პირველი სოციალისტური ქვეყნის სიდიადენი, სოციალისტური დემოკრატიის, ჭეშმარიტი სახალხო ხელისუფლების ლენინური პრინციპები.

ხალხის მასები, რომლებიც ძმურად შეკავშირებული არიან თხუთმეტი მოკავშირე რესპუბლიკის ერთიან ოჯახში, საბჭოთა კონსტიტუციის დროშით აშენებენ კომუნისტურ საზოგადოებას. ისინი ერთსულოვნად დარაზმულნი წარმატებით ახორციელებენ XXIV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებს, ასრულებენ მეცხრე ხუთწლედის დავალებებს, მთელი სიმტკიცით იბრძვიან მესამე, გადამწყვეტი წლის რეალური ამოცანების გადასაწყვეტად.

ჩვენს კონსტიტუციაში — ძირითად კანონში ასახული და გარანტირებულია შრომის უფლება, სწავლის უფლება, დასვენების უფლება, მოხუცებულობაში მატერიალური უზრუნველყოფის უფლება. დიად უფლებებს რომ გვანიჭებს, საბჭოთა კონსტიტუცია ამავე დროს თვითეულისგან მოითხოვს თავისი მოვალეობის პირნათლად შესრულებას, პასუხისმგებლობის გრძნობას ამაღლებას, მზადყოფნას დაიცვას და განამტკიცოს სოციალისტური სამშობლოს სიძლიერე.

შრომა სოციალისტურ ქვეყანაში არის თვითეული შრომისუნარიანი მოქალაქის მოვალეობა და ღირსების საქმე. ჩვენში მოქმედებს ცნობილი პრინციპი: „ვინც არ მუშაობს, ის არც ჭამს“. ამის კვალობაზე ჩვენს ქვეყანაში ხორციელდება განვითარებული სოციალიზმის ერთ-ერთი ძირითადი მოთხოვნა: „თვითთულისაგან — უნარის მიხედვით, თვითეულს — მისი შრომის მიხედვით“.

საბჭოთა კონსტიტუცია არა მარტო უფლებებს გვანიჭებს, არამედ დიდ მოვალეობასაც გვაკისრებს. ეს მოვალეობა კონსტიტუციაში ჩაწერილია შთამაგონებელი სიტყვებით იმის შესახებ, რომ „ყველა მოქალაქემ პირნათლად „შეასრულოს კანონები, დაიცვას შრომის დისციპლინა, პატივსან�მოეკიდოს საზოგადოებრივ მოვალეობას, პატივისცემით მოეკყროს სოციალისტური საერთო ცხოვრების წესებს“. ჩვენი კონსტიტუციის მიერ აღიარებული ეს პასუხსაგები მოთხოვნები განსაკუთრებული სიძლიერით გაისმის ამჟამად, როცა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი მთელი სიმტკიცით სახავს და ახორციელებს დიდმნიშვნელოვან ღონისძიებებს რესპუბლიკაში ყველგან და ყველაფერში სრული წესრიგის დასამყარებლად, წინათ დაშვებულ სერიოზულ შეცდომათა და ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

კომუნისტური პარტიის ლენინური ეროვნული პოლიტიკის ძალა და ცხოველმყოფელობა ჩანს საქართველოს სსრ მაგალითით, სადაც ცხოვრობენ და მუშაობენ ბევრი ერისა და ეროვნების მშრომელები — ქართველები, აფხაზები, ოსები, სომხები, რუსები, აზერბაიჯანელები, უკრაინელები, ბელორუსები და სხვები, — აღინიშნა საქართველოს კომპარტიის ცკ-ისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს გაერთიანებულ სხდომაზე, რომელიც რესპუბლიკისათვის ხალხთა მეგობრობის ორდენის გადაცემას მიეძღვნა. — საქართველოს მშრომელებმა ისტორიულად მოკლე ვადაში შექმნეს მძლავრი თანამედროვე ინდუსტრია, ძირეულად გარდაქმნეს სოფლის მეურნეობა, უდიდეს წარმატებებს მიაღწიეს მეცნიერებისა და სოციალისტური კულტურის განვითარებაში. საქართველოს სოციალისტური სახალხო მეურნეობა — ეს არის ყველაზე თანამედროვე დარგების კომპლექსი, მას დიდმნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს საერთო-საკავშირო ეკონომიკაში. ახალი ადამიანის — შემოქმედისა და აღმშენებლის, პატრიოტისა და ინტერნაციონალისტის, კომუნიზმის საქმისადმი ერთგული ადამიანის ჩამოყალიბება, სხვადასხვა ერისა და ეროვნების მშრომელთა ურღვევი ერთიანობა — ეს არის საბჭოთა ყოფიერების, ჩვენი პარტიის ბრძნული პოლიტიკის შესანიშნავი მიღწევები. და, როგორც ყოველივე ამის გვირგვინი, საქართველოს რესპუბლიკის დროშაზე კიაფობს ორი ლენინის ორდენი, ოქტომბრის რევოლუციის ორდენი და ხალხთა მეგობრობის ორდენი.

კონსტიტუციის დღეს რომ აღნიშნავენ, ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები კიდევ უფრო მტკიცედ ირაზმებიან იმისათვის, რათა რაც შეიძლება მეტი წვლილი შეტანონ იმ ღონისძიებათა განხორციელებაში, რომლებიც რესპუბლიკაში ხორციელდება სახალხო მეურნეობისადმი პარტიული ხელმძღვანელობის გასაუმჯობესებლად, პარტიული და სახელმწიფო დისციპლინის, კადრების პასუხისმგებლობის ასამაღლებლად, ყოველგვარი ანტისაზოგადოებრივი მოვლენების აღსაკვეთად.

„უფლება არა გვაქვს, — თქვა სკკპ ცკ-ის გენერალურმა მდივანმა ლ. ი. ბრეჟნევმა ამას წინათ, ტაშკენტში გამოსვლისას. — შევაჩერებდეთ, იმას, რომ ზოგიერთ საწარმოში, კოლმეურნეობაში, საბჭოთა მეურნეობაში, დაწესებულებაში შრომის დისციპლინა ზოგჯერ მოიკოჭლებს, რომ ჯერ კიდევ არ გადაუნეტარებულან ადამიანები, რომლებიც დაუდევრად ეკიდებიან თავიანთ უფუალო შრომითს მოგალეობას. ამ მოვალეობის ფინანსიდან უნდა ვაწარმოოთ უაღრესად გადამწყვეტი ბრძოლა. შრომითს ლირსებას უნდა გავუფრთხილდეთ, ხოლო იმათ, ვინც ამას ივიწყებს, უაღრესად მკაცრად უნდა მოვკითხოთ.; ამაზე დღეიდან უნდა ზრუნავდნენ პარტიული ორგანიზაციები, საბჭოთა ორგანოები, პროფკავშირები, კომკავშირი“.

ხალხთა მეგობრობის ორდენის გადაცემისადმი მიძღვნილ გაერთიანებულ სხდომაზე შთამაგონებლად ითქვა, რომ აღორძინებულ საქართველოს ბევრი მეგობარი და ძმა ყავს: რუსები და უკრაინელები, ბელორუსები და ყაზახები, უზბეკები და აზერბაიჯანელები, ლიტველები და ლატვიელები, ესტონელები და ტაჯიკები, სომხები და ყირგიზები, მოლდაველები და თურქმენები, ასზე მეტი ერისა და ეროვნების წარმომადგენლები. ამით ამაყობს და ბედნიერია ხალხი ქართველო, ჩვენ გვინდა საბჭოთა საქართველო გადავაქციოთ კიდევ უფრო მაღალგანვითარებულ და მაღალკულტურულ რესპუბლიკად, რომ იგი კვლავ ღირსეულად ამშვენებდეს საბჭოთა ქვეყნის მოძმე რესპუბლიკათა უმეტესობ თანავარსკვლავედს. ჩვენი საბრძოლო დევიზია: გადავაქციოთ საბჭოთა საქართველო სანიმუშო კომუნისტურ რესპუბლიკად! საქართველოს მშრომელები, კომუნისტები პარტიის ხელმძღვანელობით, სსრ კავშირის ყველა ხალხის მეგობრობასა და მხარდაჭერაზე დაყრდნობით ღირსეულად შეასრულებენ ამ ისტორიულ ამოცანას.

ოთხზის ორდენოსანი საბჭოთა საქართველო ხალხთა ლენინური მეგობრობის პირმშოა და ყველა თავის მიღწევას, ისტორიულ გამარჯვებას უმაღლის დიად კომუნისტურ პარტიას, რომელსაც საბჭოთა ხალხი მტკიცედ და განუხრელად მიჰყავს კომუნიზმის მშენებლობის გზით.

დიდი შრომითი გამარჯვება

ორსკ-ხალილოვსკის მეტალურგიული კომბინატის № 4 ბრძმედის მშენებლებს, მემონტაჟეებს, მეტალურგებს, პარტიულ, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებს, მშენებლობის ყველა მონაწილეს

ძვირფასო ამხანაგებო! სკკპ ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო მხურვალედ გილოცავენ სოციალისტურ ვალდებულებათა წარმატებითს შესრულებას, ორსკ-ხალილოვსკის მეტალურგიული კომბინატის ბრძმედის — მეცხრე ხუთწლედის მესამე, გადამწყვეტი წლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ობიექტის ვადამდე ამოქმედებას.

მშენებლობაზე მოკლე ვადაში კომბინატის მოქმედ საწარმოთა რთული პირობებში შესრულდა დიდი მოცულობის სამშენებლო და სამონტაჟო სამუშაოები და დაწესებულ ვადაზე თითქმის თვენახევრით ადრე მიღებულია პირველი თუჯი.

ამ თანამედროვე დიდმწარმოებლური აგრეგატის საექსპლოატაციოდ გადაცემა მნიშვნელოვნად გაზრდის თუჯის გამოდნობას კომბინატში და უკვე მიმდინარე წელს მისცემს სახალხო მეურნეობას დამატებით სულ ცოტა 100 ათას ტონა მაღალხარისხოვან თუჯს.

მიღწეული შრომითი გამარჯვება იმის შედეგია, რომ თავდადებით და შეთქმულებითად შრომობდნენ მუშები, ინჟინრები და ტექნიკოსები, მშენებლობის ყველა მონაწილე, ფართოდ გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება. დიდი ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობა გასწიეს პარტიულმა, პროფკავშირულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა, მაღალი პასუხისმგებლობით მოეკიდნენ კოლეტივები სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1972 წლის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა განხორციელებას.

მშენებლობის დაჩქარებას დიდი შრომა და ენერგია მოახმარეს მრავალი სპეციალისტი და საკონსტრუქტორო ორგანიზაციის, მანქანათაშენებელი ხელოვნური ოლქებმა, რომლებმაც მშენებლობა უზრუნველყვეს საჭირო ტექნიკური დოკუმენტაციით და მოწყობილობით.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო გამოთქვამენ რწმენას, რომ მშენებლები და მეტალურგები ამრავლებენ 1973 წელს მიღწეულ წარმატებებს და ყოველ ღონეს იხმარენ, რათა უთუოდ შეასრულონ 1974 წლისა და მთლიანად ხუთწლედის დავალებანი.

გისურვებთ, ძვირფასო ამხანაგებო ახალ შრომითს მიღწევებს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი
სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო

შრომის უფლება

მონინავეთა გამოცდილების მაგალითით

რუსთავის ქიმიური ბოჭკოს ქარხნის კოლექტივმა ხუთწლედის მესამე წელს მუშაობა დაიწყო დევიზით: ნაკლები მუშახელით გამოვუშვათ მეტი და მაღალხარისხოვანი ქიმიური ბოჭკო. ამ პირობის განსაღდებლად საწარმოში გავრცელდა ინიციატივა — დღეს მოწინავე მიჯნა ხვალ თვითეულის მიჯნაა. ამ გამოცდილების ფართოდ დანერგვის შედეგად ახლა აქ 10 ნოვატორი მძახავი 20 მუშის საქმეს ასრულებს. თვითეული 36 თითისტარის ნაცვლად 72 თითისტარს ემსახურება და დღეში 500 კილოგრამამ ძაფს ამზადებს, გეგმა კი 250 კილოგრამს ითვალისწინებს.

ქიმიკოსებმა მოწინავეთა გამოცდილების ფართოდ დანერგვის შედეგად მიმდინარე წელს თავი დააღწიეს ჩამორჩენას, რიტმულად, გამართულად შრომობენ, თვიდან თვემდე ზრდიან პროდუქციის გამოშვებას, დიდდება თვითეული მუშის თვიური გამომუშავება.

სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურდა კაპროლაქტამის წარმოების ამონიუმის სულფატის საამქროს № 1 ცვლა, რომელსაც ო. წაქაძე ხელმძღვანელობს. ხუთწლედის განვლილ პერიოდში კოლექტივმა გეგმის გადამეტებით 660 ტონა ზეგეგმითი პროდუქცია გამოუშვა.

სურამზე: კაპროლაქტამის წარმოების ამონიუმის სულფატის საამქროს კომკავშირულ-ახალგაზრდული ცვლის წევრები (მარცხნიდან მარჯვნივ) დ. ყანჩაველი, ნ. მშვილიძე, ი. კვირიკაშვილი, რ. მაკაროვა, ა. ბონდარენკო და ნ. მახათაძე.

ა. რუხაძის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ფენთვის, საამაყოდ!

ჭიათურა. (სკკ. კორ.). მეცხრე ხუთწლიანი გეგმის ვადამდე შესრულებისათვის თავდადებულად შრომობს კალინინის სახელობის მაღაროს კოლექტივი (დირექტორი ს. ვარაკაკელი, პარტბიუროს მდივანი გ. მირონაძე, პროფკავშირის კომიტეტის თავმჯდომარე დ. კახნიაშვილი). ამ დღეებში აქ შეაჯამეს ხუთწლედის განვლილ პერიოდში მუშაობის შედეგები. გამოირკვა, რომ მაღაროს კოლექტივს ხუთწლედის განვლილი ორ წელსა და ათ თვეში უნდა გამოეშვა 14.647 ათასი მანეთის პროდუქცია, ფაქტიურად გამოშვებულია 15.835 ათასი მანეთის პროდუქცია, რაც 1.188 ათასი მანეთით აღემატება სამი წლის დავალებას. გეგმის გადამეტებით გამოშვებულია 20.529 ტონა მაღალი ხარისხის კონცენტრატი. თვითთვირებულების შემცირებით დაზოგილია 325 ათასი მანეთის, ეფექტურობა ეფექტურობერგია, ამ დანაზოგით მაღაროს კოლექტივს შეუძლია ერთი ავარტალი იმუშაოს.

ამ წარმატებას ჭიდენ იმ საწარმოო უბნების კოლექტივები, რომლებსაც გ. ჭუმბურიძე, შ. კაპანაძე, ა. ფოფოფშვილი, ირ. აბულაძე ხელმძღვანელობენ.

მაღაროს კოლექტივმა ერთსულოვნად გადაწყვიტა ავლადიერ გაავრცელოს დამკვრელური შრომა, რათა მაქციელ საფუძველი მოუმზადოს 1974 წლის დაძაბული გეგმის შესრულებას.

ლირსეულად ამთავრებენ ხუთწლედის მესამე გადამწყვეტ წელს მარნეულის რაიონის მეპოსტნეები. მათ გეგმით უნდა მოეყვანათ და სახელმწიფოსათვის მიეყიდათ 17.040 ტონა ყვავილა სასის ბოსტნეული. სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლილი, შრომის სწორად მოწყობით ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს უკანასკნელი ცნობებით სასელმწიფოს მიეყიდეს 25.192 ტონა ბოსტნეული. ეს წლიური გეგმის 148 პროცენტს შეადგენს.

ძარღვად იმუშავეს და სახელმწიფოსათვის ბოსტნეულის მიყიდვის წლიური გეგმა გადაჭარბებით გაანაღდეს ასპინძის, ჯორის, ბორჯომის, გურჯაანის, სიღნაღის, თელავის, ახმეტის, ყვარლის, ბოლნისის, თეთრი წყაროს, დმანისის, სამტრედიის, მაიაკოვსკის, ზესტაფონის, თერჯოლის, საჩხერის რაიონებმა.

ახლა სწრაფი ტემპით მიმდინარეობს ციტრუსთვანთა ნაყოფის კრეფა და სახელმწიფოსათვის მიყიდვა. აჭარის ასს რესპუბლიკამ წელს გეგმით უნდა მოკრიფოს და სახელმწიფოს მიაყიდოს 27.195 ტონა მანდარინი. პირობის შესასრულებლად დაძაბულად მუშაობენ. ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს უკანასკნელი ცნობებით მოკრეფილია და სახელმწიფოს მიეყიდა 2.975 ტონა მანდარინი.

აფხაზეთის ასს რესპუბლიკამ გეგმით გათვალისწინებული 6.020 ტონიდან სახელმწიფოს მიაყიდა 2.902 ტონა მანდარინი.

ციტრუსოვანთა ნაყოფის კრეფა და სახელმწიფოსათვის მიყიდვა სწრაფი ტემპით მიმდინარეობს მახარაძის, ხობის, ლანჩხუთის, ცხაკაიას რაიონებში.

ასე ვიზარდეთ

სსრ კავშირის კონსტიტუციის დღისათვის

☐ სსრ კავშირი მსოფლიოში უდიდესი ქვეყანაა, რომლის ტერიტორია 22 მილიონ კვადრატულ კილომეტრს შეადგენს.

☐ 1973 წლისათვის ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის საერთო რაოდენობამ 250 მილიონს მიაღწია.

☐ საბჭოთა ხელისუფლების წლებში სსრ კავშირში სამრეწველო პროდუქციის საერთო მოცულობა 320-ჯერ გაიზარდა.

☐ ჩვენი საზოგადოების უველაზე მრავალრიცხოვანი კლასია მუშათა კლასი, რომელიც მთელი მოსახლეობის 55 პროცენტს შეადგენს.

☐ ამჟამად კოლმეურნე გლეხობა ქვეყნის საერთო მოსახლეობის ერთ მეხუთედს უდრის.

☐ საბჭოთა ინტელიგენცია მოსახლეობის უველაზე განათლებული ნაწილია, რომელიც ამოსოლია მუშებისა და გლეხებისაგან. სსრ კავშირში მარტო მეცნიერი მუშაობს 1972 წელს ერთ მილიონზე მეტს შეადგენდნენ.

☐ სსრ კავშირში 100-ზე მეტი ერი და ეროვნება კეთრთანებულია 15 მოკავშირე რესპუბლიკაში, რომელშიც შედის 20 ავტონომიური რესპუბლიკა, 8 ავტონომიური ოლქი და 10 ნაციონალური ოკრუგი.

☐ მომდინარე წლის ივნისში გამართული არჩევნების დროს მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივ საბჭოებში არჩეულ იქნა 2.193.086 დეპუტატი. დეპუტატთა შორის კომუნისტები შეადგენენ 43.9 პროცენტს, უპარტიოები — 56.1 პროცენტს, დეპუტატთა შორის მუშების რაოდენობა 39.3 პროცენტს, ხოლო კოლმეურნეებისა — 28 პროცენტს შეადგენს.

☐ სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოში არჩეულია 1.517 დეპუტატი, მათ შორის 481 მუშაა, 282 კოლმეურნე.

☐ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია თავის რიგებში ითვლის 15 მილიონამდე კომუნისტს. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა შორის კომუნისტები 72,3 პროცენტს შეადგენენ.

☐ მეცხრე ხუთწლედის ორი წლის განმავლობაში დაახლოებით 31 მილიონმა კაცმა მიიღო გადიდებული ხელფასი, პენსია და სტიპენდია. 1972 წელს სახალხო მეურნეობაში დასაქმებული მუშებისა და მოსამსახურეების საშუალო თვიური ხელფასის ზამა-მუშავებამ 130,3 მანეთი შეადგინა.

☐ ახალი ხუთწლიანი გეგმით ხელფასისა და პენსიების გადიდების და ხალხის ცხოვრების გაუმჯობესების სხვა ღონისძიებათა განხორციელებას მოხმარდება ერთიორად უფრო მეტი სახსრები, ვიდრე წინა ხუთწლედში.

☐

ეროვნული მოწონება

ინდოეთში ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის ვიზიტის შედეგების გამო

ჩვენი მეგობრობა საუკუნეებში იცოცხლებს

ჩვენზე უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის ამ დღეებში დამთავრებულმა ვიზიტმა ინდოეთში. ეს იყო მშვიდობის ვიზიტი და ისტორიაში შევა როგორც თანამედროვეობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნიშანსვეტი, მოლაპარაკება და მიღებული საბჭოთა კავშირ-ინდოეთის დოკუმენტები ხელს შეუწყობენ მშვიდობისა და პროგრესის შემდგომ განმტკიცებას, ორი დიდი ხალხის მეგობრობის განმტკიცებას.

მაგონდება 1956 წელი. დელში აზიის მწერალთა კონგრესზე, რომლის მონაწილეობა ვიღაცეი, გამოვდიოდ ჯავაჰარლალ ნეჰრუ. თავის მიზნებარე სიტყვაში მან ილაპარაკა მწერლის — ხალხის ცხოვრების /მემატიანის მოვალეობაზე, მის როლზე ქვეყნად მშვიდობის შენარჩუნებასა და განმტკიცებაში.

მე ჯავაჰარლალ ნეჰრუს სახელობის პრემიის ლაურეატი ვავხდი. ინდოეთის ეს მაღალი პრემია ჩემთვის განსაკუთრებით ძვირფასია.

სხვა ლაურეატებს შორის ვიზეაფხულზე ჩვენ მოგვიანო ინდოეთის პრემიერ-მინისტრმა ინდირა განდიმ, რომელმაც მაშინ ლიტერატურისა და ხელოვნების საბჭოთა მოღვაწეებთან საუბარში აღნიშნა ინდოეთის ხალხის დიდი მისწრაფება — კიდევ უფრო განამტკიცოს და განავითაროს მეგობრული კავშირურთიერთობა საბჭოთა ხალხთან. ინდოეთში ლ. ი. ბრეჟნევის ისტორიული ვიზიტის შემდეგ, ეჭვი არ არის, გაფართოვდება თანამშრომლობა ჩვენს ქვეყნებს შორის. ეს მოასწავებს კულტურული კავშირურთიერთობის გაფართოებასაც. მე მხედა ბედნიერება შევხვედროდი ინდოეთის მწერლებს კრიშნან ჩანდრას, ამრიტა პრიტამს, ხოჯა ამმად აბასს. ინდოეთ-საბჭოთა კავშირის კულტურული საზოგადოების მრეზიდენტს მენონს. ეს შეხვედრები დიდხანს დარჩება ჩემს მეხსიერებაში.

ინდოეთს, მის ნიჭიერ ხალხს განსაკუთრებული ადგილი უკავია ჩემს შემოქმედებაში. ჩემს ციკლში ინდოეთის შესახებ, პოეტ ჭალ ამრიტა პრიტამისადმი მიძღვნილ ლექსებში მე ვეშველი ჩვენი ხალხების ურღვევ მეგობრობას, ქვეყნად მშვიდობასა და ბედნიერებას. მე კიდევ არაერთხელ მივმართავ ინდოეთის თემას, მისი შრომისმოყვარე ხალხის ცხოვრებას.

ირაკლი აბაშიძე,
პოეტი-აკადემიკოსი.

იმედით ალგვავსებს

ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევის ვიზიტი საბჭოთა კავშირის მეგობარ ქვეყანაში — ინდოეთში ეროვნ ნათელი ფურცელია მშვიდობისათვის დაუცხრომელი ბრძოლის დიდი წიგნისა. ამიტომაც, ბუნებრივია, ქართველი ბაღის, ოთხზის ორდენოსანი ჩვენი რესპუბლიკის მშრომელების ყურადღების ცენტრშია ლ. ი. ბრეჟნევის ინდოეთში ვიზიტის შედეგები.

ჩვენ, ქართველი მეცნიერები, რომლებიც ვიბრძვით ადამიანთა უკეთეს ცხოვრებისათვის, ხალხის სამსახურში მეცნიერულ კვლევათა და აღმოჩენათა ჩაყენებისათვის, სულით და გულით ვიწონებთ ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევის ინდოეთში ვიზიტის შედეგებს; მიგვაჩნია იგი ღირსშესანიშნავ ნაბიჯად წინ, მშვიდობისაკენ. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ საბჭოთა კავშირსა და ინდოეთს ურთიერთანაბეთ საერთო მისწრაფებანი ხალხთა მშვიდობისა და უშიშროებისათვის ბრძოლაში. ლ. ი. ბრეჟნევის ვიზიტი ინდოეთ აღავსებს მთელი მსოფლიოს მშვიდობისმოყვარე ხალხებს.

ჩვენ, საბჭოთა ადამიანები მხურვალედ ვიწონებთ და მხარს ვუჭერთ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საბჭოთა მთავრობის საგარეო პოლიტიკას, პირადად ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევის უდიდეს და დაუცხრომელ ზრუნვას მშვიდობისათვის.

ძრ. არეშიძე,
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი.

ნ. ვ. პოდგორნიმ მიიღო ა. დუგლას-ჰიუმი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ **ნ. ვ. პოდგორნიმ** 4 დეკემბერს კრემლში მიიღო საბჭოთა კავშირში ოფიციალური ვიზიტით მყოფი დიდი ბრიტანეთის საგარეო და თანამეგობრობის საქმეთა მინისტრი სერ **ალეკ დუგლას-ჰიუმი.**

გაიმართა მეგობრული საუბარი, რომლის დროს განიხილეს საბჭოთა კავშირ-ინგლისის ურთიერთობის შემდგომი განვითარების საკითხები და საერთაშორისო მდგომარეობის აქტუალური პრობლემები. ხაზი გაესვა საბჭოთა კავშირისა და დიდი ბრიტანეთის მისწრაფებას — გაადაროთოს ორი ქვეყნის ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობის სფეროები საბჭოთა და ბრიტანელი ხალხების საკეთილდღეოდ, ევროპასა და მთელ მსოფლიოში მშვიდობისა და უშიშროების განტკიცების ინტერესებისათვის.

საუბარში მონაწილეობა მიიღეს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა **ა. ა. გრომიკომ,** საბჭოთა კავშირის ელჩმა დიდ ბრიტანეთში **ნ. ვ. ლუნკოვმა,** ავრეთვე დიდი ბრიტანეთის საგარეო და თანამეგობრობის საქმეთა მინისტრის მოადგილე სერ **თომას ბრიმელოუმ,** დიდი ბრიტანეთის ელჩმა საბჭოთა კავშირში სერ **ტერენს ბარნიმ.**

(საკრედი).

მოლაპარაკება დამთავრდა

4 დეკემბერს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროში დამთავრდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის ა. ა. გრომიკოს მოლაპარაკება დიდი ბრიტანეთის საგარეო და თანამეგობრობის საქმეთა მინისტრთან სერ ალეკ დუგლას-ჰიუმთან.

მოლაპარაკების მსვლელობაში მხარეებმა ყოველმხრივ განიხილეს აქტუალური საერთაშორისო პრობლემები. აგრეთვე საბჭოთა კავშირ-ინგლისის ურთიერთობის შემდგომი განვითარების საკითხები. ორივე მხარემ გამოთქვა წრმენა, რომ გამართული აზრთა გაზიარება ხელს შეუწყობს ორი ქვეყნის თანამშრომლობის გაფართოებას სხვადასხვა დარგში.

სსრ კავშირისა და დიდ ბრიტანეთის წარმომადგენელთა მოლაპარაკებისა და საუბრების შედეგები ასახულია ერთობლივ კომუნიკეში, რომლის ტექსტი გამოქვეყნდება.

* * *

იმავე დღეს სერ ალეკ დუგლას-ჰიუმმა საუზმე გამართა დიდ ბრიტანეთის მოსკოვის საელჩოში.

საუზმეზე იყვნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო, სსრ კავშირის მინისტრები ტ. ბ. ბეშჩევი, ფ. ვ. ელიუტინი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეები ვ. ფ. ტუნკინი, ს. ა. ციზოევი და სხვა ოფიციალური პირნი.

ინგლისის მხრივ საუზმეზე იყვნენ ა. დუგლას-ჰიუმის თანმხლები პირნი, აგრეთვე დიდ ბრიტანეთის ელჩი სსრ კავშირში სერ ტერენს ბარნი.

(საკრედი).

ახლა ცხოვრობდა ვ. ი. ლენინი

ულიანოვსკი. ლენინის მემორიალურ ცენტრში გაიმართა სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია, რომელიც მიეძღვნა ჩვენს ქვეყანაში უძველესი ვ. ი. ლენინის სახლ-მუზეუმის გახსნის 50 წლისთავს, რომელიც ბმდინარე წლის დეკემბერში სრულდება. ამ სახლში ყოფილ მოსკოვის ქალაქზე (ამჟამად ლენინის ქუჩა), ულიანოვების ოჯახი ცხოვრობდა 1878-1887 წლებში.

ნაზეკარი საუკუნის მანძილზე სახლ-მუზეუმი დაათვალიერა ყველა მოკავშირე რესპუბლიკიდან და მსოფლიოს მრავალ ქვეყნიდან ჩამოსულმა შვიდ მილიონზე მეტმა კაცმა.

კონფერენციის მონაწილეებმა — მეცნიერებმა, პარტიელმა და საბჭოთა მუშაკებმა თავიანთ მოხსენებებსა ოა გამოსვლებში აღნიშნეს, რომ სახლ-მუზეუმი დიდმნიშვნელოვან როლს ასრულებს რეგიონალ ლენინის იდეების პროპაგანდის დიდი ცენტრი, მაღალი შეთასება მასალის მუზეუმის თანამშრომლებისა სამეცნიერო-კვლევითის საქმიანობას, განსაზოგადოს ავრეთვე ვ. ი. ლენინისა და ულიანოვების ოჯახის ცხოვრების მაგალითით მშრომელთა ინტერნაციონალური აღზრდისათვის მათი მუშაობის დიდი გამოცდილება.

ქარხნის მოამავალი

ამის თორმეტი საათი გრულდებოდა. იგი ისევ ადბინჯში იჯდა და ნახატიბის სწავლობდა. უკვე მერამინენი ოცითბდა ანალოზს ჩარხის ყოველ ადგილს, მაგრამ საქმის კვლავ ხელმორიგი იწურებოდა. უნდოდა ზედმიწევნით კარგად დაემახსოვრებინა ყოველი წარილმანი, რათა ხვალ, როცა სამონტაჟო სამუშაოს შეუდგებოდნენ, შეცდომა არ მოსვლოდათ...

ტალიფონმა დარეკა. მეთხუთმეტე საამქროდან იყვნენ.

— ყველაფერი მზად არის. ადგილი თავისუფალია, — მოახსენეს.

— წადით, დაისვენეთ, ხვალ ბევრი საქმე გვაქვს.—თითქოს თავისთვის თქვა დირექტორმა და ყურმილი დადო.

მიხვდა, რომ დაღლილიყო. მაგრამ ხვალინდელი დღის მოლოდინი სიხარულს ვერდა, ამხნევებდა. ფართო კაბინეტში გაიარ-გამოიარა და ფანჯრით ირთხელ კიდევ აწონ-დაწონა მიღებული გადაწყვეტილება. ჩაფიქრდა, შეამოწმა მისი სისწორე.

არა, არა, ყველაფერი გადაწყვეტილია. მეთხუთმეტე საამქროში უნდა დადგას. ადგილი არის და ეოპა რამის გადაადგილება თუ დაგვჭირდება. მონტაჟს არ დავაჩქარებთ, ნელა ვიმუშავებთ. არ უნდა შევცდეთ. შეიდმა საბედისწერო იქნება, არავინ აღარ დაგვიჯერებს.

ამგვარი ფიქრის საბაბი ჰქონდა ქარხნის დირექტორს. ის, რასაც იგი საწარმოს წამყვანი სპეციალისტების ჯგუფთან ერთად ხვალ იწყებდა, პატარა საქმე არ გახლდათ, დიდი სიახლე იყო და მისი განხორციელება მნიშვნელოვან სახსრებსა და ოფლისღვრას მოითხოვდა. სახსრები უკვე ხელთ ჰქონდათ. ე. ი. მთნეობა გამოუცხადის მაშინ, როცა აქა-იქ ისმოდა ხმები. ეს სიახლე მანიცდამაინი დიდ ეფექტს ვერ მოიტანს, რადგან კიროველობი მის დანერგვა-ათვისებას ვერ შეძლებენო...

და აი ხვალიდან ზორეს ისხამდა ქარხნის სპეციალისტთა გადაწყვეტილება. რომ სწორედ მეთხუთმეტე საამქროში დაიწყოთ ახალი პროგრამული მართვის ჩარხების სამონტაჟო სამუშაოები. ეს გადაწყვეტილება მოდისადმი ხარკის გადახდა როდი იყო. მასში კიროველებმა ნამდვილი პროგრამა შენინშნეს, დროის მოთხოვნა გაითვალისწინეს. ამგვარი სიახლის დანერგვის აუცილებლობას ჩასწვდნენ...

ეს იყო 1970 წელს. როცა პროგრამული მართვის ჩარხები ალბათ თითებზე ჩამოსათვლელი იყო ჩვენს მრეწველობაში. ამგვარი სიახლე თითოოროლა თუ იქნებოდათ მოსკოვისა და ლენინგრადის სახელგანთქმულ საწარმოებს. და აი თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსამშენებლო ქარხანაში დაიწყეს სამი ახალი პროგრამული მარდვის ჩარხების სამონტაჟო სამუშაოები.

რას ნიშნავს ჩარხის პროგრამული მართვა და რა პროგრესის მოტანა შეუძლია მას?

— ეს ისეთი სიახლეა, — გვითხრა ქარხნის დირექტორმა დ. კიკნაძემ. — რომ მისი გვერდის ავლა შეუძლებელია. მანქანათმშენებლობის განვითარების თანამედროვე ეტაპზე ტექნოლოგიაში პროგრამული მართვის ჩარხების შემოღება ტექნიკური პროგრესის დაჩქარების ერთ-ერთი მთავარი მიმართულებაა. ასეთი ჩარხების გამოყენება მნიშვნელოვნად ამაღლებს დასამუშავებელი დეტალების ხარისხს. ზრდის შრომის ნაყოფიერებას. 20-45 პროცენტით ამცირებს წუნს, მინიმუმამდე დაპკაკავს ახალი პროდუქციის ათვისების ციკლს. საჭირო დროის დანაკარგები, ამაღლებს წარმოების კულტურას, ნაკლებ მოთხოვნებს უყენებს მუშის კვალიფიკაციას.

— პროგრამული მართვის ჩარხების დანერგვა რევოლუციას ნიშნავს მანქანათმშენებლობაში, — განაგრძო დირექტორის ხარი ქარხნის მთავარმა ტექნოლოგმა ვ. მამაცაშვილმა, — მთლიანად იცვლება ლითონის დამუშავების, დეტალის დამზადების ტექნოლოგია, ე. წ. „მარჯვე ხელის“ მაგვარად ყველაფერს აკეთებს ადამიანის გონების ნაყოფი — მანქანა, ამ შემთხვევაში ჩარხი, რომელსაც წინასწარ შედგენილი პროგრამა ეძლევა. რა მარჯვეც უნდა იყოს მუშა, ისეთი სიზუსტით დეტალს ვერ დაამზადებს, როგორც იგი.

— ჩვენს ქარხანაში სამამულო თუ საზღვარგარეთული წარმოების ბევრი ისეთი ჩარხია, რომლებიც მიღწევად ითვლება.—ამბობს პროგრამული ჩარხების სამუშაოთა ბიუროს ჯგუფის ხელმძღვანელი ვ. მანვიჩი, — მათ შორის არის უნივერსალური ჩარხებიც. მაგრამ პროგრამულ ჩარხებთან შედარებით ისინი დღეს, შეიძლება ითქვას, პრიმიტიულად გამოიყურებიან...

მთელი ეს სიკეთე თავიდანვე კარგად იყო ცნობილი კიროველი სპეციალისტებისათვის, სწორედ ამიტომ გადაწყვიტეს მისი გამოყენებაც, მაგრამ მთავარი საქმე ამ ჩარხების დონეზე ამაღლება ჩაის მოსავლიანობა და მრავალი სასარგებლო საქმე გაკეთდა. ასევე ენერგიულად იშუშავა ეომილე გობრონიძემ.

უთუოდ გაგიგონებთ ვახტანგ ჭეიშვილის სახელი, „თეთრ სპილოს“ რომ ვეძახდით. კაცი კი არა, ციდან ჩამოსული ღმერთი იყო, ლაითურის ალმაშენებელი, მრავალი კეთილი საქმის მოთავე, კარგი აგრონომი, სახელოვანი მამულიშვილი. გაშკირთის გამოჩენილმა მწერალმა რამილ ხალიმოვმა თავის სახელოვან წიგნში „ათი სადღეგრძელო — და ათივე საქართველოსო“ — ასე შეამკო ჩვენი თანამემამულე:

„ჩემო კეთილო მოხუცო, თეთრო სპილო, ჩემო ვახტანგ ჭეიშვილო!.. როცა ბავშვები ვარ ბაღვეკილ ბ. თქვენს დიდ ყურებსა და ცხვირს ხელს ფაკლებენ. მე მესმის მათი. ისინი ეთამაშებიან სპილოს, რომელიც ბავშვური გაგებით, ყველაზე კეთილი არსებაა ამ ქვეყანაზე... ბავშვებს უყვარხართ თქვენ, უბრალოდ. იმიტომ, რომ დიდი და კეთილი ხართ. უფროსები კი თქვენში ხედავენ დიდ მზრუნველსაც, ეხოვრების დიდ მოყვარულსა და ბრძენს“.

ლაითური

ელ. უბილავა.

ეთილი იყოს თქვენი ჩამობრძანება ჩემს მშობლიურ გურიაში. სწორედ რომ ჯარგ დროს ჩამოსულხართ, როცა ლაითურელები ჩინეულ განწყობილებაზე ვართ. ჩვენი რესპუბლიკის მთავრობას დიდი ხანია ვუპატაკეთ ჩაის კრეფის ნედლეულის გადაჭარბებით შესრულება. რაკი სიტყვა საქმედ ვაქციეთ და ხვავიან-ბარაქიანი შემოდგომა გვქონდა, სტუმარ-მასპინძლობასაც სულ სხვა იერი აქვს, კიდით-კიდემდე შემოგარტერები აქაურობას.

საყორნიას მთა ბაგიეფონიათ, თოვლით შემესილი რომ მოჩანს დაკბილული მწვერვალებით? იქიდან ჯადოსანსავდებთ. რომ ერთიანად, ერთი ამოსუნთქვით ნახოთ ჩაითა და ციტრუსებით მოხატული ჩემი მერია. ჩემი ლაითური, ჩემი ბაღები. შრომით აყვავებული ჩემი გურია. ერთი ზღვის პატარნინ ორ ზღვას დაგანახებ — შავი ზღვის ვვიდოდით ჩაისა და ციტრუსების ზღვაში შეგაცურებ „ოცნებათა ლურჯი იალქნებით“.

ეს მეორე ზღვა გურულმა ბლეხებმა, ჩემმა მეზობლებმა და ნათესავებმა დააგუბეს აქ, რომ ამიერიდან აწოდამარადის შავი ზღვის მიმდებარედ იბობოქრის და ინებივრის შრომის ოფლით მორწყულმა ყანამ და ზვარმა, ფერდობზე ტერასებად შეფენილმა ჩაიმ და ციტრუსებმა. სანამ მშობლიურ მიწა-წყალს გაგაცნობდე, ჩემს სათაყვანებელ ლაითურის მეურნეობას შემოგაკარებდე — რაღა მემარნეშვილი ვიქნები, თუ ჩემს მარანში არ მიგიწვევ.

მერე, იცოცხლე, ამბები მოგიყვეთ მთისა და ბარისა — სისონა დარჩიაზე გინდა. ნასაკირალზე თუ ეხრაასხუთი წლის ამბებზე.

ბატყობ შენ მაინც შენსას არ იშლი და მაინდამაინც ლაითურზე — ამ მეურნეობა-გიგანტზე ბსრეს ბეასუბრო: იყოს ნება თქვენი, ოღონდ ნუ დამძრახავთ და არ ვიცი საიდან დავიწყო. რომ ვითხრა, ლაითური მწვანე ოქროს ბეღელია, ორიათას ხუთას ჰექტარზეა ბაშენებული. სამი ათასი მუშა მუშაობს და ყოველწლიურად ხუთი ათას ტონა ჩაის კრეფს-მეთქი, ეს ბაზეთბრდანაც ჩინებულად გეკოდინებათ: არკი ის იქნება თქვენთვის ეაცხო, რომ აქ ოცამდი ეროვნების ადამიანი ისე მხარშეყობილი მუშაობს, თითქოს ერთი დიდ-მამის შვილი იყოს. ჩაის საშუალო მოსავალმა ჰექტარზე ბარე ხუთი ათას კილოგრამს გადააჭარბა. ჩვენი მეურნეობის ყოველწლიური ფულადი შემოსავალი ოთხნახევარ მილიონს აღწევს.

გურული ბლეხი ბავიდან ტრაქტორზე რომ ბადაჯდა. ურმიდან ავტომობილზე და თაყხიდან ორსართულიან სახლში რომ ბადაბრძანდა. ის იმდენად არაფის ბაკვირვებია. რამდენადაც ჩაის მარეფაი ენინერი მანქანების ბამოჩენა. წელს ჩვენი მეურნეობის მიერ მოარფიელი ხუთიათას ორას ოცდაათი ტონა ჩაიდან საკმაოდ დიდი ნაწილი მანქანებმა მოკრიფეს. რაკი კრეფაში მანქანებიც მოგვეშველა, ამიერიდან აღარ გვაშინებს ჩაის ჰექტარების გამრავლება. თუნდაც მეორე ამდენი ბაშენდეს, მოვკრეფთ.

ერთი უკანაც მოვიხედოთ. მე ერთი ოცათეთრან ბლავ ვარ, პირველი ბარი რომ ბაჰკრა ლაითურის ყამრის. ჩვენ მაშინ ტექნიკურად სრულიად შეუიარაღებელი შევბრძოლ ტყე-ბუჩქნარს. ოცდაათიან წლებში, როცა საკავკიო საზოგადოება „საქჩაის“ მიერ ბამოყოფილმა ეროვნულმა მიზანშეწონილად მიიჩნია აქ მხხვილი საბჭოთა მეურნეობის ბაშენება, მთელს ოზურგეთის მაზრაში მხოლოდ ცხრა ტრაქტორი მუშაობდა და ოცი აგრონომი, აქედან მხოლოდ შვიდი იყო ჩაის სპეციალისტი.

აბა ბახედე ახლა ჩვენს ლაითურს — როგორ გაუშლია მხარები ზღვიდან მთებამდე.

ლაითურში საერთო შრომამ, დიდმა სამვილიშვილო საქმემ ბაგვამზადა ბნელებიდან დროს გათიშული ძმები — გურულები და აჭარლები, სხვადასხვა ერის შვილები — ქართველები, რუსები, სომხები, აზერბაიჯანელები, უკრაინელები, ბელორუსები. მხარი მხარს მიეკიცით და ლაითურის ყამირ მიწაზე „მწვანე ოქრო“ აღმოვაცენეთ. მწვანე ოქრომ მრავალ ჩვენგანს ბგრინის ყვითელი ოქრო ბაკვიდა ბულზე. დღეს დუმბერ მაისურაძის, ტატიანა ზუბრეკოს, გენრიეტა ჯაბუას, ლიდია კოსენკოს, ალექსანდრე თალაკვაძის და კატია ზახარიგას სოციალისტური შრომის გმირის ოქროს ვარსკვლავი რომ ამშვენებთ, ეს მხოლოდ შეერთებული შრომის ნაყოფია.

ორიოდე სიტყვას ჩემზედაც ბეტყვით, როგორც ამ მეურნეობის ერთ-ერთ ბულმემარკვიერზე. თქვენი მონა-მორჩილი სიმონ მემარნეშვილი — 1929 წლის დამლეგს, უფროსი ლეონენანტის ჩინით დემობილიზებული, ჩამოვედი ოზურგეთის სამაზრო აღმასკომის განკარგულებაში იქიდან კი სამუშაოდ გამამწესეს ჩემს მშობლიურ სოფელ მერიაში, სადაც მაშინ ლაითურის მომავალი საბჭოთა მეურნეობის მშენებლობის თადარიგში იყვნენ. მეურნეობის კანცარა ჩემი კარის მეზობლის ალეშა დანიელის სახლში იყო მოთავსებული. აქ მაშინ სულ რამდენიმე კაცი მუშაობდა. მე პირველად დამნიშნეს საწყობის გამგედ, მერე კი ადამიანურ ენაზე სამეურნეო ნაწილის უფროსად.

ლაითური მაშინ ურანენ ტყით იყო დაფარული. ტყეზე ისე იყო მოდებული ეკალ-ბარდი, ჩიტი კურკანტელს ვერ ბაიტანდა. შიგ ბრავალგვარი ნადირ-ფრინველი ბინადრობდა.

ბირველად მეურნეობის განკარგულებაში არ იყო არც ერთი საცხოვრებელი ბინა, სასოფლო-სამეურნეო იარაღი, მალე „საქჩაის“ დახმარებით შეგისყიდეთ რამდენიმე ეერძო სახლი, მუშებისათვის გავაშენეთ ბარაკები, შვეიცინეთ გუთნები; მომდევნო წელს „საქჩაიმ“ გამოგვიზავნა სამი ამერიკული ტრაქტორი „მონარხი“, ერთი გერმანული ტრაქტორი „კოტერპილარი“. დაიწყეთ ტყის ჩეხვა, სანაიე ნიადაგის მომზადება, ბირველ წელიწადს ჩაი უნდა გაგვაშენებინა ასორმოცდაათ ჰექტარზე, გავაშენეთ ორი იმდენი, მეურნეობის მუშა-მოსამსახურენი დაჯილდოვდნენ თითო თვის ხელფასით.

მომდევნო წლებში მეურნეობა თანდათანობით ფართოვდებოდა და ძლიერდებოდა. კანცარა მერიიდან გადავიტანეთ ჯერ პირველ აერონაინში, ხოლო შემდეგ ეერეთწოდებულ „მომწვარ კარავში“, სადაც საბოლოოდ გავმაგრდით და ფრთები გავშალეთ.

1936 წელს მივიღეთ ჩაის ფოთლის პირველი მოსავალი. მომდევნო წელს ჩაის ფოთლის კრეფაში მოპოვებული წარმატებისათვის ჩვენი მეურნეობის ახალგაზრდა კოლექტივი საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის დიპლომით დაჯილდოდეოდა.

როცა ლაითური და ლაითურელები ბაბრეშუმამზეზეი სისწრაფით მივიწევდით წინ, ახალი სიმაღლეების დასაპყრობად, როცა მეურნეობის არსებობის ათი წლისთავი უნდა გვეზეიმა, გაისმა საზარელი ხმა — ომი!

და სხვებთან ერთად მეც ფრონტს მივაშურე. ოთხი წელიწადი თოფით ხელში ვიტარებდი მოძალადეს... გამარჯვების შემდეგ კვლავ ჩემს ლაითურს ბაკუბრუნდი, ჯერ ტრაქტორის მოადგილედ ადმინისტრაციულ-სამეურნეო დარგში, შემდეგ კომუნალური მეურნეობის უფროსად.

ლაითურში მუშაობის დროს მეურნეობის ათი-თორმეტი დირექტორი მახსოვს. ყველა მათგანი შეძლებისდაგვარად აგურს აგურზე უმატებდა, დიდი სიყვარულით და მონდომებით მუშაობდა, რომელი ერთი გამოვარჩიო, ყველა ერთმანეთზე უკეთესი იყო. მაგრამ აქ ორიოდე სიტყვას ვიტყვი ნესტორ გიორგაძეზე, ერმილე გობრონიძესა და ვახტანგ ჭეიშვილზე. თუ ადამიანის ღვაწლის დაფასების საზომად მის საქმიანობას მივიჩნევთ, ჭიბათ-ჭიბა მათ, სამივეს ეკუთვნის. ნესტორ გიორგაძემ — ამ დაუშრეტელი ენერგიის პატარაულმა და სამეურნეო მუშაკმა დიდი ხელი დაარჭყო მეურნეობას. მის დროს აშენდა კლუბის ტიპენაკუმბის, ბავშვთა ბაგა-ბაღების შენობები, უმაგალითოდ ამაღლდა ჩაის მოსავლიანობა და მრავალი სასარგებლო საქმე გაკეთდა. ასევე ენერგიულად იშუშავა ერმილე გობრონიძემ.

უთუოდ გაგიგონებთ ვახტანგ ჭეიშვილის სახელი, „თეთრ სპილოს“ რომ ვეძახდით. კაცი კი არა, ციდან ჩამოსული ღმერთი იყო, ლაითურის ალმაშენებელი, მრავალი კეთილი საქმის მოთავე, კარგი აგრონომი, სახელოვანი მამულიშვილი. ბაშკირეთის გამოჩენილმა მწერალმა რამილ ხალიმოვმა თავის სახელოვან წიგნში „ათი სადღეგრძელო — და ათივე საქართველოსო“ — ასე შეამკო ჩვენი თანამემამულე:

„ჩემო კეთილო მოხუცო, თეთრო სპილო, ჩემო ვახტანგ ჭეიშვილო!.. როცა ბავშვები ვარ ბაღვეკილ ბ. თქვენს დიდ ყურებსა და ცხვირს ხელს ფაკლებენ. მე მესმის მათი. ისინი ეთამაშებიან სპილოს, რომელიც ბავშვური გაგებით, ყველაზე კეთილი არსებაა ამ ქვეყანაზე... ბავშვებს უყვარხართ თქვენ, უბრალოდ. იმიტომ, რომ დიდი და კეთილი ხართ. უფროსები კი თქვენში ხედავენ დიდ მზრუნველსაც, ეხოვრების დიდ მოყვარულსა და ბრძენს“.



ურათზე: ტექნიკური პროგრესის საკითხებზე მსჯელობენ ქარხნის დირექტორი დმიტრი კიკნაძე (მარცხნივ) და თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის პროფესორი, მანქანათმშენებლობის ტექნოლოგიის კათედრის გამგე თეიმურაზ ლოლაძე.

ბ. ბოგოსიანის ფოტო.

ბედნიერი იმავ, ნოდარ

ერეკლე მანანკოვი — ეროვნული ბიბლიოთეკის ბიბლიოგრაფიული ინფორმაციის ცენტრი

მკითხველმა მიიღო ყოველთვიური ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალის. სსრ კავშირის მწერალთა კავშირის ორგანოს „დრუჟბა ნაროდოვის“ მეათე ნომერი. მასში ბევრ სხვადასხვა ლიტერატურულ მასალასთან ერთად მოთავსებულია ვიტალი გუზეიოვის წერილი „მზიური ფრესკები“, რომელიც მხატვარ ზურაბ წერეთლის შემოქმედებაზე მოგვითხრობს. აქვე ჩანართად დასტამბულია მხატვრის რვა ნაწარმოების ფოტოასლები.

კიდევ ერთი საინტერესო წერილია დაბეჭდილი ჟურნალის ამ ნომერში. იგი გვაცნობს ჩვენს თანამემამულეს, მეფრინველეობის სპეციალისტ ნოდარ ჯინჭარაძეს, რომელიც იაროსლავლის ოლქში ცხოვრობს და მუშაობს, ერთ-ერთი მსხვილი მეფრინველეობის ფაბრიკის დირექტორია.

მკითხველს ვთავაზობთ ბრონისლავ ხოლოპოვის ამ წერილს.

□ □

ეაროსლავლის ოლქის ტუტაევის რაიონს დიდი ხანია — ბავშვობიდან ვიცნობ, ფეხდაფეხ დამეძღოლია შოთხვითი და მოცვნარით მოფენილი ნესტიანი ხეივნები, ვოლგის ზედაფენილის ერთ დროს დიდებული ტყეების ნარჩენები — მრმდგარი ფიჭვნარი, ტუტაევის მოლით მობიბინე ეზოები. ქუჩები, სადაც არც თუ ისე დიდი ხნის წინათ შეჩვეულებიდან მოდგამ მოუსვენარი სამრეწველოების ჩრდილს თავშეფარებულ მოხეტიალს, რომლებიც ხითთანიბში, მაოლის ალუმინებში, გვერდზე შესაცვლა ხალათებში იყვნენ გამოწყობილი. ვიგონებოდა, ისინი აქ ოსტროვსკის დროიდან სხედანო. ათიოდე წლის წინათ აქ ბევრი რამ ჯერ კიდევ ძველებურ ყოფას მოგგონებდა. თუმცა იაროსლავლი ტუტაევიდან არც ისე შორს არის — სულ ორმოციოდე კილომეტრია, მაგრამ ისე ნელა და დიდხანს, თითქმის სამ საათს. მიეცურავდა ვოლგის დინებას შებმული სამდინარო ტრამვაი, რომ ვიჩვენებოდა იაროსლავლიდან ცხრა მთას იქით მიდიან. მართლაც, მაშინ ძალიან ცოტა ავტოლილებები იყო ტუტაევის სოფლებში. შელაოვში ერთი რომელიმე ახალი ფერმის „ადგა დიდხანს იყო ახლომახლო მდებარე სოფლების სალაპარაკო თემა.

და აი ათი წლის შემდეგ მე ავლილ ამ ადგილებში ვარ. კარგახანია იაროსლავლიდან ტუტაევამდე ვოლგაზე ოკეანე „რაიტა“ დადის, სულ ნაბეჭვარი საათია საჭირო, ეს ისეგია. მოსკოვის რომელიმე ახალ რაიონში მეტროთი რომ წახვიდე. რიბინსკის ჰაბატიციელზე თითქმის ტუტაევამდე მიეფენოდა ახალი ქარხნების კორპუსებს. სოფლის ძველურ სახლებს შორის სულ ოფორო ხშირად შეჩენდებით ბეტონისა და ადგურის თორმეტბინიან ოთხკუთხა ტიპურ სახლებს. ავხელ თეჭვნარში კი, რომელიც ვოლგაში ნახევარკუნძულად შეჭრილა, სადაც საცერში გამტკიცულივით წმინდა, თეთრი ქათქათა ქვაშის სანაპიროა, სადაც ყოველთვის სამარისებური სიჩუმე სუფევდა, ქარხნის პანსიონატის ახალი ბეტონალოები ოეშენებიათ, სპორტული მოედნები, საცურაო ბეერანები, გაუმართავთ... ცოდვაა, ანა? სიჩუმის დაკარგვა მართლაც ცოდვაა! საცოდავად გამოიყურება ეს ძველი სახლიც გაპარტახებული ეზო-ბაღით, გასული საუკუნის ყურანლებით, ერთმანეთზე რომ დაოყრიათ ბიწორო, დახეთილ ოთახში. სახლის მოხეცი პატრონი გარდაიცვალა, მისმა შვილმა კი ცენტრალურ დასახლებაში აიღო ბინა, რომელშიც რუსული ღუმელის მაგივრად გაზქურა დგას, ხოლო თართა გაცვეთილი ეშნო სპამების ნაცვლად — ლამაზი წვრილთეხებიანი, ლაქწასმული სკამები. აქაურ სოფლებში ახალმა დრომ შემოაბიჯა, და გულს რაგორადაც არ უნდა გვტკივდეს ძველებური იდილიის დაკარგვა, მაინც უნდა გავიგოთ და ვაღიაროთ დღევანდელი ეპირატესობა — ამა ნახეთ ახლა რამდენ ადამიანს შეუძლია ამ ადგილებში დასვენება, ძველად კი ერთი ან ორი მოვიდოდა და მორჩა. ხედავთ, როგორ ცხოვრობენ სოფლის მკვიდრნი? აქ ყველაფერი ისეა, როგორც იაროსლავლში და კიდევ უკეთესადაც. ადრე კი პირადი ეტაპენელი ეუკერეფენენ ქალაქური კომფორტის ყოველგვარ წვრილმანს.

მე ახლაც მახარებს და მომწონს ყველა სიახლე ტუტაევის სოფლებში, როგორც ადრი მახარებდა და მომწონდა. მაგრამ ყოველთვის მაკლდენდა ის ამბავი, რომ ასეთ მხარეში, სადაც დიდი ძერები ხეივნა, რაკამეოდ ალიან ეკოტა ხალხს ჩამოხალ! თუმცა ეს გასაკვირი არის — ჯერჯერობით ხალხი სოფლიდან ქალაქს მიეფის და არა პირიქით. სოფლში მეფრინველეობა მექანიზებული და ინიციატორი ფიციერებული ხდება. თანდათან მაღლდება მათი ტექნიკური დონე, სპეციალისტები კი ძალიან ცოტაა. არ მეთიან ისინი იაროსლავლის ეუნივერსიტეტ მარჯვე, გამოჭვი ადამიანები ყველგან საჭიროა ოსინი ეხოვრებისა და მოწამობისათვის ეორი ეაფერი პირობებს ეკრესად იპოვნიან, ეიდრე ჩვენს ადგილებში.

მე ტუტაევის მეფრინველეობის ფაბრიკაში მიმიყვანეს. ოოოსა ეწასვლია საჭირო და ტუტაევს ასხენებენ ხოლმე, რომ არ მეცალოს, მაინც ეაარის თქმას ვერ ვახერხებ. ამიტომ ახლაც მაშინვე დათანხმდი, თუმცა არ ვიცოდი სად და რაზე წარმოადგენდა ეს თაბრიკა. „ფრინველმრეწვის“ ტრესტის ეს ახალი და მოწონადი საწარმო აღმოჩნდა ჩემთვის კარგი ნაკვნობ ადგილას — „ი. ე. ეომინოვის ადარაკებზე. ამბობენ, რომ ადრი ეს ადგილი მდიდარი მემამულის ეომინოვის მამული ყოფილა. ეომინოვის თავის სამ ვაჟს ცალიცალკე ფეოეევდორეულელ სტილში ხის კოშკები აუგია. ეს სტილი პოპულარული იყო გასული საუკუნის ბოლოს.

კოშკები ისევ ისე დგას, მაგრამ მათს გვერდით უკვე ალმართული და კვლავ შენდება ქვის სახლები, იქვეა გზის საქვაბე, მოშორებით ქათამბინა ახალი ფერმები, მწყობრში დგებიან ელექტრონულ-დამცემი ბაზის ბეტონის საყრდენები, ერთი სიტყვით, ყველაფერში იგრძნობა, რომ ეომინოვის ცხოვრება ახლებურად კრძალდება. ეკოა არ იყოს ჩემთვის მოულოდნელიც კი ალმოჩნდა, ხის კოშკების გვერდით რომ ასეთი სიახლე ენახა. მაგრამ მოულოდნელობაზე მეტი იყო ფაბრიკის დირექტორთან შეხვედრა.

ფაბრიკის დირექტორი აღმოჩნდა ასე ოცდაათიოდე წლის ქალთვალი ალეკი, ისე მერე როგორი! ასეთები ლადო გუდიაშვილის ნახატებში თუ გვიხილავს, ან საქართველოს სპორტული გუნდების შემადგენლობაში სიმაღლეი — მეტრი და ოთხმოცდაათ სანტიმეტრამდე, თვალები ვეფხისტყაოსანს რანდს მიუგავდა, თავრთო მხარეებში, ვიწრო წელი... ალბათ დამეთანხმებით ტუტაევთან ახლოს მეფრინველეობის ფაბრიკის დირექტორად ასეთი ადამიანს ყოველთვის როდი შეხვდები. სამართლიანი ბეთხრათ, სამხრეთული სილამაზე მაშინვე ერთ აზრს ბადებს ჩემში ლამაზია, მაგრამ ჭკვა თუ უჭირს? საქმიანი თუა? თავდაჯერებული ხომ არ არის?

ერთმანეთს გავეცალეთ ერთ და მალე მეც და ჩემი ამხანაგი. „იზვესტიის“ კორესპონდენტი დავრწმუნდით, რომ ეს ქალი ჭკვიანიც იყო და საქმიანიც და სულაც არ იყო თავდაჯერებული.

ნოდარ დომენტის-ძე ჯინჭარაძე ეცდილობს მეფრინველეობაში ყველაფერი იცოდეს: იგი ეკანონელი გამოკვლევების მასალებით, ოეცხოური ფურნალების გამონთქვამებით, რომელთაც კონკურსებზე წაკითხული მოხსენებების არგუმენტირებით ვიმტკიცებდა კითხვებზე, რომლებსაც ჩვენ ვაძლევდით.

დირექტორის მოყვანითობას ვეიჩვენებს ასეთი თაქრი: თაბრიკა იაროსლავლის „ფრინველმრეწვაში“ ერთ-ერთი მოწინავეა, ადადარებებით ასრულებს ყველა ვეგმას, მაღალრენტაბელურია.

თავდამშვიდება? თვითკმაყოფილება? ვანა ამაზე შეაძლებოდა ვეკითხრა. როცა ჯინჭარაძემ მაცივარი, ზუსტი და სუფთა — ამას ვეხოვრა ვანსაკუთრებით მიიქცეთთ ყურადღებას! — ტოსტერით ასეთნაირად დაახასიათა თავისი საწარმო:

— თუ ჩვენ ქიბას ეიმსახორებთ. ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ვეი არ ვაგიჩიტოდა, თორმეა ვეკონდა ამის საბაბი. თაბრიკის პირველი რიგი მშენებლობის პერიოდშეიეი მორალურად მოძველდა. იგი ვაანგარიშებული 100 ათასი ფრთა ეიერეხმეობილი ქათმისათვის. ფრინველები ეანდაფრი ლეგორნის ჯიშისაა, ვენეტიკური პოტენციალი წელიწადში 240 ცალ კვერცხამდეა. ბალიორი შინაგის ფროს ბილოორუსიაში ასეთიეი ჯიშიდან წელიწადში 260 ცალი კვერცხი მიიღეს. ჩვენ 230-ის ფარგლებში ვმერყობთ. ამას ვერ ეაკეკრეთებთ. ერა ენდა ვაეაკეთოთ? ენდა შეიეეალოთ ტექნოლოგია. და ჩვენ ეიცალეთ ტექნოლოგიას ისე, რომ თაბრიკა არ შეაჩეროთ. ამასთან ვეთანხმებთ მას 300 ათასი ფრთისათვის. ამ ხოთწლიანში ეოეალეებად მივიღოთ 250 ცალი ეეერეხი.

ხელმძღვანელის მაგალითი? ვაანინა. რას ეგულისხმებს კაცი ამაში... მე მგონი კარგი ხელმძღვანელი დღეს ის კი არ არის, ვინც თვითონ დაჯდება დირექტორის საქმესთან და ყველას ეუჩვენებს, თუ რა თავდადებულია. ერამეტ ის, რომელსაც შეუძლია თვითეეელ მოშაას შეოქმნას ინიციატივის მაქსიმალურად გამოვლენისათვის საჭირო პირობები. კარგი ხელმძღვანელი ის არის. ვინც ბერსპექტივას ხედავს, ვისაც პერსპექტივის რეალობად გადაქცევა შეეძლია...

მე ვკითხლობ. რომ ეკეთ მოიშოროს ეს ტონე, რომლითაც მარწმუნებს თითქოს ოთხრო საინტერესო და საჭირო საქმე, ვიდრე მეფრინველეობაა, არ ერსებობს, ამიტომ ვეკითხები:

— ვკითხარით. თქვენ. პირადად თქვენ რამ გაიძულათ, რომ ხელი მოქიდეთ მეფრინველეობას?

მან აზიდა თავისი დიდებული წარბები და თქვა:

— რატომ მაიძულა? მე იგი მომწონს. სიტყვა ფრინველი ძალიან მრავლისმთქმელი, ძალიან ლამი სიტყვაა.

სხვითა შორის, მას ფრინველისადმი ინტერესმა კი არ გაუფვიძა სიტყვისადმი ინტერესი (ეს პირდაპირ დეკეფსტაციას ოკითხებს ზოგიერთ ეოსულ სტატიებს), არამედ პირიქით — სიტყვა, ენა დაეხმარა ეპოეტა მოწოდება, სამუშაო ადგილი.

ჯერ კიდევ მაშინ, საქართველოში რომ ეხოლრობდა, მიზნად დაისახა ეოსული ენა ეესწავლა შეეცდომოდ და ელაპარაკნა ოკაკეტრო. არმაში ეუამრავი ლექსიკონი და წიგნი წაიეოო. ამხანაგების დახმარებით ითვისებდა ბრონვეგებსა და ოოლებებს. მაგრამ არმიაში სამსახურის დამთავრების შემდეგაც ეოსული ენა ეესწავლა. ეოსეთ ეაბრეკა ეესწავლა. ეკონომიური პრობლემის ადგილი. მერე რა, რომ ჯინჭარაძის ოჯახის გამოჩენა ეომინოვში ერთეული თაქრა. ის მაინც მიგვანებენებს სრულიად ახალი მიგრაციული ნაკადის შესაძლებელ გამოჩენაზე, ვიდრე ახლა არის გავრცელებული. ის ამბობს მეოთითებს (და ეი ვიმიდოდეს ეს ასე იქნებაა!), რომ შუა და ცენტრალური რუსეთის სასოფლო რაიონები მოახლოვდნენ ბოლომდი ადამიანებილი ეკონომიური პოტენციალის რეალიზაციას.

სხვათაშორის, ნოდარის მოშაობის ერთ-ერთ მთავარ შედეგად, გარდა ზიგეგმითი ეკერცხისა ოა ხორცისა. რასაკვირველია, ეს მაინც ეაბრეკა. მე იმასაც ვეთვლი, რომ მასთან ოომინსკში ხალხი სამოშაოდ მიეშორება. ჩამოდიან სხვა ოლქებიდან, ბინადახან სამხრეთიდანაც. აქ მათ ეიოლოდა ეარი ანაზღაურება მაღალ ეიძლიათ ბინები. ტუტაევში ჩამოსული ადამიანებიდან შეეხვედრა ჩემთვის ყველაზე ადამიანური ოოლა

ესეც შენი „თავისუფალი სამყარო“

ხორცი, პოლიტიკა და ტრედ-იუნიონები

ევროპის პროკაგანდის არავითარ შელამაზებულ სიტყვებს ბურჟუაზიული საზოგადოების, როგორც „თანაგარი შესაძლებლობების“, „კეთილდღეობის“, „საყოველთაო აყვავების“ საზოგადოების შესახებ არ ძალუძს შენიღბოს მისი ღრმა სოციალური წყლულები — შეუბრალებელი ექსპლოატაცია, ფასების შეუნელებელი ზრდა, უმუშევრობა, დემოკრატიული უფლებების ხელყოფა, ძალადობა და დანაშაულობა — ყველაფერი ის, რასაც ყოველდღიურად აწყდება მშრომელი ადამიანი კაპიტალის სამყაროში.

იბრძვიან უფლებებისათვის

ინგლისი. გაფიცვა გამოაცხადეს ავიაკომპანია „ბრიტიშ ეირუეიზის“ სახმელეთო სამსახურის მუშაკებმა. ისინი პროტესტს აცხადებენ კონსერვატორთა ანტიმუშაური კანონის წინააღმდეგ.

აწყდება რა მუშათა კლასის სერიოზულ წინააღმდეგობას, ხელისუფლება მიმართავს სხვადასხვა მანევრს. მიუხედავად ამისა, დღის წესრიგიდან არ არის მოხსნილი ინგლისის მთელი პროფკავშირული მოძრაობის მოთხოვნა „მრეწველობაში ურთიერთობათა“ შესახებ დრაკონული კანონის გაუქმების თაობაზე.

სურათზე: აეროპორტ ჰიტროუს გაფიცული მუშა-მოსამსახურეები.

უცხოეთის პრესიდან

„პოლიტიკურ აფერისი“
ნიუ-იორკი

ამერიკის 50 შტატიდან 49-ში სახელმწიფო სკოლების სისტემას აშკარად გამოხატული ბლასობრივი ხასიათი აქვს იმის გამო, რომ ბურჟუაზიული ელიტის შვილების განათლებაზე გაცილებით მეტი ფული იხარჯება საბიუჯეტო ფონდებიდან, ვიდრე მშრომელ ადამიანთა შვილების განათლებაზე.

ამავე დროს იმ სკოლების გადასახადი, სადაც ბურჟუაზიული წრეების შვილები სწავლობენ, გაცილებით დაბალია, ვიდრე იმ სკოლებისა, სადაც მუშათა შვილები სწავლობენ.

„ოპიუმის მეფე“ — საბრალდებო სკამზე

ყოველკვირეულმა „კრიტიკონტმა“ (გდრ) გამოაქვეყნა კორესპონდენცია ტაილანდში ნარკოტიკებით მოვაჭრეთა მეთაურის — „ოპიუმის მეფის“ ლო სინ-ხანის დაპატიმრების შესახებ.

ახალი ამბების საagენტო მაუთხელებს სთავაზობს ამ კორესპონდენციას ზოგიერთი შემცირებით.

თითქმის მეოთხედი საუკუნის მანძილზე ლო სინ-ხანი „ოქროს სამკუთხედის“ მეფედ ითვლებოდა. ასე უწოდებენ ტერიტორიას მიანმარს, ლაოსსა და ტაილანდს შორის, სადაც მოჰყავთ ოპიუმი. აქ დაიბადა ლო სინ-ხანმა თავისი პირადი „არმიით“, რომელიც ნაღმსატყორცნებითა და სწრაფსასროლი იარაღით აღჭურვილ ათას ბანდიტს ითვლიდა.

დააგროვა რა ნარკოტიკებით ვაჭრობით დიდძალი სიმდიდრე, ლო სინ-ხანმა გადაწყვიტა ტაილანდში დაფუძნებულიყო. მაგრამ ადგილობრივმა პოლიციამ იგი დააპატიმრა და ბირმის ხელისუფლებას გადასცა, სადაც „ოპიუმის მეფე“ სახალხოსნოს წინაშე წარსდგა. მას ბრალად სდებენ სახელმწიფოს წინააღმდეგ ძირგამომთხრელ საქმიანობას, იარაღის კონტრაბანდას და ოპიუმით ვაჭრობას.

ლო სინ-ხანის და მისი ძმის ლონ სინ-მინის „მოღვაწეობა“ დაიწყო ჩინეთში გომინდანელთა ჯარების განადგურებისთანავე. თავი შეიფარეს რა „ოქროს სამკუთხედის“ ძნელმისადგომ მთიან რაიონებს, ძმებმა ტერორით, მოსყიდვით თუ დაშინებით თავიანთ რაზმში გადაიბირეს ადგილობრივი მთიელი ტომების წარმომადგენლები და მოსახლეობის დაშინების გზას დაადგნენ. ყოველწლიურად მათ მოჰყავთ 8000 ტონა ოპიუმის მცენარე.

უკანასკნელ წლებში „ოქროს სამკუთხედი“ კონტრაბანდული ოპიუმის მთავარი მიმწოდებელი გახდა ამერიკის შეერთებულ შტატებში, დასავლეთ ევროპასა და აზიაში. ვიეტნამის ომის დროს „ეთერი საწამლავი“ შეჭამონდათ ხაიგონში ამერიკის საექსპედიციო კორპუსის ჯარისკაცებისათვის. ამერიკის შეერთებული შტატების მიერ სამხრეთ ვიეტნამიდან ჯარების გამოყვანის შემდეგ ნარკოტიკების ძირითადი ნაკადი დაიძრა ტაილანდისაკენ. სადაც ჭერ კიდევ არის ამერიკის ბაავიაციო ბაზები და, ბუნებრივია, ჯარისკაცებიც.

მართალია, „ოპიუმის მეფის“ დაპატიმრება ბევრ ქვეყანაში შეფასებულ იქნა როგორც დიდი გამარჯვება ნარკოტიკებით მოვაჭრე კონტრაბანდისტთა წინააღმდეგ ბრძოლაში, მაგრამ ოპიუმი მაინც დიდი რაოდენობით იყიდება ტაილანდის შავ ბაზარზე. და რაც მთავარია, კიდევ უფრო გაძვირდა. როგორც ჩანს, „ოპიუმის მეფის“ დარჩა თანაშემწეები. საქმის გამგრძელებლები.

800 ტონა ოპიუმი — ეს თითქმის ყოველწლიურად მსოფლიოში წარმოებული ამ მომწამლელი ნივთიერების ნახევარია. „ოქროს სამკუთხედიდან“ იგი ტაილანდისა და მალაიზიის გავლით გაიქვთ ჰონკონგსა და სინგაპურში. იქ მოქმედებს მსხვილი განგსტერული სინდიკატი, რომელიც ბატონობს სამხრეთ აზიის ბაზარზე და „საქონელს“ აგზავნის ამერიკის შეერთებულ შტატებსა და დასავლეთ ევროპაში.

მქიდრო კავშირი განვითარებული კაპიტალისტური ქვეყნების ლობისთან სინდიკატს ფაქტურად ხელშეუხებელს ხდის. ლო სინ-ხანი ადრე აღიარებდა, ნარკოტიკების კონტრაბანდაში ამერიკის შეერთებული შტატების ცენტრალური სადაზვერვო სამართველოს ხელიც ურევიაო.

სავსებით ცხადია, რომ „ოპიუმის მეფის“ დაპატიმრებით კარგად მოფიქრებული და უხვად გაწყობილი ქსელი არ შეწყვეტს თავის არსებობას. ნარკოტიკებით ვაჭრობას ბოლო რომ მოეღოს, საჭიროა რადიკალურად შეიცვალოს სოციალური პირობები, რომელიც ნარკომანიას წარმოშობს.

ტელეტაიპის ლენტიდან

● ამგვარი ● ფაქტები ● ● პროგლემები

ისრაელის პროვოკაციები გრძელდება

დამასკო, 4 დეკემბერი. (საკ-დესი). ორშაბათს ისრაელის ჯარებმა პროვოკაციულად მოაწყვეს ახალი შეიარაღებული ინციდენტები სირია-ისრაელის ფრონტზე. ცენტრალურ სექტორში 13 საათსა და 20 წუთზე დამასკოს დროით ისრაელის სამი ჯავშანტრანსპორტიორი შეეცადა გავრილიყო ცენტრალურ სექტორში და განლაგებული სირიის პოზიციების მიმართულებით. მაგრამ არტილერიის შემხვედრი ცეცხლით მოწინააღმდეგე იძულებული გახდა გასცლოდა იქაურობას. მან დაკარგა ერთი ტრანსპორტიორი.

ფრონტის ჩრდილოეთ სექტორში ისრაელის პროვოკაციის შედეგად ატყდა სროლა, რომელშიც მონაწილეობდნენ ორივე მხარის არტილერია და ტანკები.

პარლამენტის არჩევნები დანიაში

კოპენჰაგენი, 4 დეკემბერი. (საკდესი). დღეს დანიაში მიმდინარეობს პარლამენტის ვადამდე არჩევნები, რომელშიც მონაწილეობს თითქმის 3,5 მილიონი ამომრჩეველი. უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში — ფოლკეტინგში 175 ადგილისათვის იბრძვის 11 პოლიტიკური პარტია, მათ შორის წარსულში მმართველი სოციალ-დემოკრატიული პარტია, კომუნისტური, მემარცხენე ლიბერალური, „რადიკალური მემარცხენე“ და კონსერვატიული სახალხო პარტიები.

წინასაარჩევნო კამპანიის მსვლელობაში განსაკუთრებული უურადღება ეთმობა ფასებისა და გადასახადების ზრდის საკითხებს. რაც გამოწვეულია დანიის შესვლით „საერთო ბაზარში“.

პრეზიდენტის მრჩეველი გადადგა

ვაშინგტონი, 4 დეკემბერი. (საკდესი). თეორმა სახლმა გამოაცხადა, რომ პრეზიდენტი რ. ნიქსონი დათანხმდა ენერგეტიკული პოლიტიკის საკითხთა სპეციალური მრჩევლის ჯ. ლაბას გადადგომას.

განცხადება ლაბას გადადგომის შესახებ, რომელსაც მინიჭებული ჰქონდა ყველაზე ფართო უფლებამოსილებანი ამერიკის შეერთებულ შტატებში გავრცელებული ენერგეტიკული კრიზისის წინააღმდეგ ბრძოლისათვის, გაკეთდა სათბობის ეკონომიის გამო მთავრობის ახალ ღონისძიებათა გამოქვეყნების წინ. ამიტომ ლაბას გადადგომა ამერიკის მიმომხილველებს მიაჩნთ ამერიკის შეერთებულ შტატებში ენერგეტიკული კრიზისის სერიოზულობისა და მისი დაძლევის გზების შესახებ მთავრობაში დიდი უთანხმოების ახალ დადასტურებად.

ფულის ახალი ერთეული

ნიუ-იორკი, 4 დეკემბერი. (საკდესი). მიმოქცევაში შემოვიდა ფულის ახალი ერთეული — ბარბადოსული დოლარი. ბანკებმა დაიწყეს ერთი, ხუთი და ოცი დოლარი ღირებულების ნაბეჭნო ბილეთების გამოცვლა. ათ და ასდოლარიან ბანკნოტებს, როგორც მთავრობის წარმომადგენელმა განაცხადა, რამდენიადმე მოგვიანებით გამოუშვებენ.

ბარბადოსი — ატლანტის ოკეანის კუნძული, რომელიც მცირე ანტილის კუნძულების ჯგუფში შედის, 1627 წლიდან დიდი ბრიტანეთის კოლონია იყო. 1966 წელს იგი დამოუკიდებელი სახელმწიფო გახდა.

ხორცი, პოლიტიკა და ტრედ-იუნიონები

უკანასკნელ ხანებში ყოველთვის, როცა ჩემი ცოლი საყსბოდან შინ ბრუნდება, იგი ნაგაჭრს აუცილებლად მაგიდაზე დებს და გამომწვევად მეკითხება: „როგორ ფიქრობ, რა ეღირებოდა დღეს ეს საცოდავი ნაჭერი?“. გაზეთი რომც არ მქონდეს წაკითხული და მისი ხმის ტონითაც ვერ ვხვდებოდე, რომ ხორცის ფასმა კვლავ მოიმატა, ამას მაშინვე ვხვდები, აღელვებულ ჩემს მეუღლეს რომ შეეხედა. შარშან ხორცის ფასი თითქმის გაორკეცდა, და ახლა გაცილებით ნაკლებ ხორცს გიახლებით. თითქმის ყველა პროდუქტის ფასი იზრდება და იზრდება, ხორცზე და ხორცის პროდუქტებზე კი განსაკუთრებით. ამან გამოწვევია ის, რომ ბევრი ინგლისელი იძულებულია საერთოდ უარი თქვას ხორცზე.

ყოველგვარი შესაძლო და შეუძლებელი მიზეზი იყო გამოთქმული სიძვირის დასასაბუთებლად. მაგრამ რა მათი რეგირება მთავრობის პოლიტიკაზე?

ოქტომბრის დასაწყისში მთავრობამ გამოაქვეყნა წინადადებები ეგრეთწოდებული „ანტისაინფლაციო“ პოლიტიკის მესამე ეტაპთან დაკავშირებით, რითაც შეზღუდა ხელფასის მომატება მცირეოდენ პროცენტამდე და არავითარი რეალური შეზღუდვა არ დაუწესებია ფასების ან მოგების ზრდაზე. კონგრესმა უარყო მესამე ეტაპის წინადადებები და განაცხადა, რომ არ დაეთანხმება „ხელფასის დონის მომატებაზე იურიდიულ კონტროლს (სასამართლოების მეშვეობით“). კონგრესმა უარყო მთავრობის ცდა ჩარეულიყო მუშებსა და მეწარმეთა შორის მოლაპარაკებაში.

ეს, ცხადია, არ წარმოადგენს კლასობრივი ომის გამოცხადებას მთავრობისა და მეწარმეებისთვის, მაგრამ სინამდვილეში კონგრესს უკვე ია ეპზიცია, რომელმაც საბოლოო ანგარიშით უნდა მიიყვანოს იგი კიდევ უფრო მტკიცე პოლიტიკურ ხაზამდე, მიუხედავად კონგრესის ლიდერების შიშისა, რომ ისინი ჩათრეული იქნებიან „პოლიტიკურ მოქმედებაში“.

თავდაპირველად, როგორც ჩანს, თვითონ მთავრობა მდიოდა გაწყვეტებაზე: იღებდა კანონებს, რომლებიც დაპატიმრებით და ჯარიმით ემუქრებოდა მათ, ვინც არაფრად აგდებდა კანონს „მრეწველობაში ურთიერთობათა შესახებ“, მთავრობას მიაჩნდა, რომ ინიციატივა მის ხელთ იყო. მაგრამ ახლა, როცა ბრიტანეთის ტრედ-იუნიონთა კონგრესმა უარი თქვა „ანტისაინფლაციო“ პირობების მიღებაზე?

კონგრესმა არა თუ მოუწოდა თავის წევრებს უარი ეთქვათ კანონის შესაბამისად რეგისტრირებაზე, არამედ გარიცხა კიდევაც თავისი რიგებიდან ექვსი პროფკავშირი, რომლებმაც მაინც გადაწყვიტეს რეგისტრაციაში გატარება. ყველაზე თანმიდევრული წინააღმდეგობა ე. წ. „საერთაშორისო ტრიბუნალს“ გაუწია მანქანათმშენებელთა გაერთიანებულმა პროფკავშირმა, რომელიც კატეგორიულად უარს ამბობს სცნოს კანონი ან სასამართლო. უფრო მეტიც, ქარხანა „კონ-შეკის“ ადმინისტრაციასთან კონფლიქტის დროს მუშებმა გამოაცხადეს გაფიცვა თავიანთი უფლების დასაცავად, რომ მეწარმეებთან მოლაპარაკების დროს მაგიდასთან ყოფილიყვნენ პროფკავშირის წარმომადგენლები.

„საერთაშორისო ტრიბუნალმა“ გაფიცულებს წინადადება მისცა გამოსულიყვნენ სამუშაოდ. პროფკავშირმა უარი თქვა არა მარტო ტრიბუნალის წინაშე წარდგომაზე, არამედ არც სცნო ასეთი სასამართლოს არსებობის კანონიერება, რისთვისაც პროფკავშირის სალაროს ასი ათას გირვანქაზე ყადაღა დადეს.

ფაქტიურად პროფკავშირების ნამდვილი პოლიტიკა სწორედ აქ იწყება. იგი იწყება წინააღმდეგობიდან მთავრობის ცდის მიმართ სასამართლოები გამოიყენონ იმისათვის, „რათა ისე შეზღუდონ ან ჩაახშონ პროფკავშირი, რომ მათ არ შეძლოთ წარადგინონ თავიანთი წევრები“. ასე შეაფასა სიტუაცია მანქანათმშენებელთა გაერთიანების ერთმა პროფკავშირმა თავის განცხადებაში, რომლითაც უარყვეს სასამართლოები. ამ შემთხვევაში პროფკავშირები გაიცემენით ფართო ამოცანების სახავენ, ნაცვლად უბრალო ბრძოლისა ხელფასის მომატებისა და სამუშაო დღის შემცირებისათვის. ეს უკვე პოლიტიკური მოთხოვნებია.

სხვათა შორის, თვით მთავრობა, რომელიც ცდილობს დაარწმუნოს პროფკავშირის წევრები, რომ პოლიტიკა მათი საქმე არ არის, თავისი ღონისძიებებით პირიქით საწინააღმდეგო რეაქციას იწვევს. პროფკავშირის თვითეული წევრი პოლიტიკას თავის ღვიძლ საქმედ თვლის. პოლიტიკა მისი ცხოვრების შემადგენელი ნაწილი ხდება.

ამრიგად, ბრიტანეთის ტრედ-იუნიონთა კონგრესი აწარმოებს აშკარა პოლიტიკურ ბრძოლას, მაგრამ ამავე დროს წინანდებურად აღგას იმ თვალსაზრისს, რომ პროფკავშირული მოძრაობის პოლიტიკური ინტერესებისთვის საერთო ეროვნული მასშტაბით ლეიბორისტული პარტია უნდა იბრძოდეს. ეროვნული პოლიტიკური საქმიანობიდან ტრედ-იუნიონიზმის ჩამოშორების ეს ტენდენცია ყოველთვის წარმოადგენდა ინგლისის სოციალ-დემოკრატიული ტრადიციების შემადგენელ ნაწილს. ამიტომ ტრედ-იუნიონისტები ხშირად აღმოჩნდებიან ხოლმე ტალღებში ეულად მოცურავის როლში, როდესაც ისეთ რთულ „ექსპედიციაში“ მივემგზავრებიან, როგორიც არის ეროვნული გაფიცვა ან როცა იწყებენ საარსებო მნიშვნელობის ბრძოლას თავიანთი უფლებებისათვის.

ლეიბორისტებს მიაჩნიათ, რომ პროფკავშირთა საქმიანობის პოლიტიკური მხარე შეზღუდული უნდა იყოს. და პროფკავშირებს არ ურჩევენ მოუხდათ უკან დახევა რთული საგაფიცვო სიტუაციის პირობებში. ყოველივე ამის შედეგად პროფკავშირის რიგითი წევრებიც სულ უფრო მზარდი ნაწილი მიუწოდებს ბრიტანეთის ტრედ-იუნიონთა კონგრესს გამოვიდეს პოლიტიკური მოთხოვნებით. ფართო დისკუსიებში სულ უფრო ხმირად გამოთქვამენ უმუალო პოლიტიკური მოქმედების აუცილებლობის თვალსაზრისს. ეს ჯერ კიდევ არ გადაზრდილა საყოველთაო მორჩილებაში, მაგრამ აღსანიშნავია ის, რომ ამას წინათ კონგრესი იძულებული გახდა მიეწოდებინა ერთდღიური პოლიტიკური გაფიცვისაკენ „მრეწველობაში ურთიერთობის“ შესახებ კანონის წინააღმდეგ.

...ალბათ დაუბრუნდეთ იმ ძვირადღირებული ხორცის პრობლემას, რომელსაც ჩემი ცოლი ყიდულობს, და წანამატს თექვსმეტი ათასი გირვანქის ოდენობით წელიწადში, რომელსაც იღებს კომპანიის პრეზიდენტი. ამ კომპანიის ერთ-ერთი ქარხანის მუშებმა დაიწყეს გაფიცვა. ისინი მოითხოვდნენ ხელფასის გაზრდას კვირაში ორი გირვანქით. გაფიცულნი მოითხოვდნენ აგრეთვე მთავრობის ჩარევას, რათა ფირმის პრეზიდენტისათვის შეეწყვეტათ აღნიშნული დიდი წანამატის გადახდა.

ჩვენ არ ვიცით, მიიღებს თუ არა მთავრობა ამ მიმართებით რაიმე ზომებს, მაგრამ ერთი კი ცხადია, რომ მუშები დაჟინებით მოითხოვენ პასუხს კითხვაზე: ვინ იღებს მოგებას? ვინ უჭერს მხარს საქმისწყობს, მოგებას? რომ იღებენ? ვინ იცავს მათ სასამართლოსა და პრესაში? ეს არის ფირმა იმ პოლიტიკური განათლებისა, რომელსაც ახლა ყოველდღიურად იღებს ინგლისელი მუშა.

ჯეიმს ოლდრიჯი,
ინგლისელი მწერალი.

უცხოელ კარიკატურისტთა კომენტარი

— არა, ძმაო, ჩვენ სხვაგან მოვხვდით. აქ სამეცნიერო ხარისხის მქონე ხალხი ელოდება სამუშაოს.

„დეილი ეირდი“, ნიუ-იორკი.

ჩილეში ხუნტა სულ უფრო სასტიკად ახშობს ყოველგვარ დემოკრატიულ უფლებებს.

დემოკრატიის „ბალანი“

„ზარკანტ“, დასავლეთ ბერლინი.

ოთარ ჭელიძე



I.

ვიცით, დედაშენო მრგვალი
მზეს რომ ესესხება ნათელს,
მისი გადუხდელი ვალი
ყველას აკვნიდანვე გვმართებს.
მწვანე ვარსკვლავია, ვიცით,
მიწა სომძიმილით სავსე.
ჩვენ რომ სათითაოდ ვიწვით,
იმ წვით დაილვარებს ცაზე.
შვილებს ჯვეხომება მუდამ,
როგორ გვილხენია მიწით:
მას რომ პატრონობა უნდა,
დედის იმედივით ვიცით.
ბრუნავს კოსმოსური ბურთი,
თანავარსკვლავედში ბრწყინავს.
ტანჯით, თვითმფრინავივით, გუთნით
თხრიან სამარეთა მწკრივად.
მიწა უამთასხელაში ვამხმარ
ხელებს მოფერებით მოგვეფეს,
უსასრულობაში გვმარხავს.
როგორც თავფარავნელ მოუმეს.

II.

ხევში ჩამოიქცა ზვავი,
მოჰყვა წყალდიდობა აპრილს,
მიწას ამოუვსო ბზარი,
დარი უზარმაზარ ძაბრის.
ტალღას მიეზარცხა ტალღა
და ვინც შორიახლო სახლობს —
თავი მოიყარა ხალხმა
მომდგარ განსაცდელის ახლოს.
ივსებს უშველებელ მუცელს
სივრცე ამღვრეული ყვითლად;
მთვარე აელვარდა ოცებ,
წყალში წამოიწყო ყვინთვა.
ზვირთი იხეიქება ქლდეებს,
გადაიტანილია გზანი,
და ბგავს თვალშეუფარ ქედელს
ხევში ჩახერგილი ზვავი.

III.

— წარღვნა გვეზავთება განწირულებს,
მალე ჯებირებსაც გადალეწავს,
სიმწრის მოლოდინი გვაიძულებს
ბარის სოფლებიდან გადახეწას, —
რეკავს ტელეფონი ზარ-განგაშით, —
გველის არნახული განსაცდელი,
ზვავი ჩამოზვავდა სბადარში,
წყალს გზა ჩაურაზა გასასვლელი!..
სადღაც შუაგზაზე მაშველია! —
მთიელთ უპასუხებს სბადპესი,
გიგა უნგიაძეს დარჩენია
თავგამოსაჩენი ასპარეზი.
მთისძირი ეძიელესი საყდარია,
ნაშთი უხსოვარი საუკუნის,
ისიც ავბედობამ გადარია.
ძალა მოსცემია ზარ-გუგუნის.
ელვა, მწვირვალებზე მობინადრე,
ჭრთოდა უსაშველო განაჩენად
და მთა, საკარელად მშობიარე,
წარღვნას სადაცაა გაიჩენდა.

IV.

ზღვადქმნილ, უზარმაზარ ძაბრის
ყრუ და შემზარავი ხმებით
შეკრთა უნგიაძის ძალლიც,
მთვარეს შეუტია ყეფით.
სჭრავდა, ზეზეურად სწვავდა
გიგა უნგიაძეს ელდა,
სახეშეშლილივით, ცხადად
თვალწინ ბედისწერა ედგა.
მიაქვს უძლურობის განცდა
რწმენად წამომართული წამებს,
როცა, დედასავით მკაცრად,
მიწა თავგანწირვას ბრძანებს.

V.

ბგავს საშინელ, მრუმე სიზმარს
ხევი ხახადაღებული,
ბაძავს გუგაუს ბუნებისას
ძრავა ანადგაგებული.
მანქანიდან უსმენს გაბმულ
ჭექა-ქუხილს, ზავთს და გრუხუნს.
ძირს დგამს გიგა ყუთით ლაღუმს,
გული რვალის ძრავად უხურს.
ქმარა დაქუხება ერთი,
მძლავრი აფეთქების ტალღა
და ზვავს ელვისებრი სვეტი
ღრუბლად მიმოფანთავს მაღლა.
ცოფმორეულ მორეკს ღამით
გიგა თვალებს დაწკურავს,
თავფარავნელ მოუმესავით
ვერ შებედავს გადაცურვას.
ვერც შუქურას ხედავს მბრწყინავს,
ვერც მაშველთა ავტომობილს,
წუთი რაა, — არ უგრძვნია
უსასოო-მარტოობის.
წყალთან მობრდღვიალი ქვარი
მოაქვს უნგიაძის დედას;
ხმელი, ქოფანდარა ქალი
შვილის შეგონებას ბედავს:
თუ არ მიუსწარი ბეწვზე,
სიცოდილს გაახარებ მთაში.
ზვავის აფეთქება შესძენ
ან შინ საპყარივით დარჩი.

VI.

წყალი ციცაბოებს ამყვა
და რომ დაიცლიან ორ დღეს,
მიწას დაალწევდა ნარღვნა
ქვიყნის დამაქცევარ ცოდვებს.
ღვარი გაანგარევდა მთახაც
და იმ საფლავების ძირას
ფუძეს გამოთხრიდა, სადაც
დაღლილ მამაპაპას სძინავს.
დამბრჩვალ ახლობლებზე დარდით
ცოცხლებს დაახრჩობდა სოფლად
წარღვნა უსასრულო ვადით
ბალღებს დახტოვებდა ობლად,
ზურგზე მოიდებდა ავნებს,
ხარჩო-საბადებელს, ხახლკარს,
მაგრამ საბადარის ამლებს
ვიღაც უსაფრდება სადღაც...
ალეხაცობა მოდგა ბჭობად.
ზვავის მიღმა ზღვა ბორგავდა.
ბარის ყველა სოფლსაბჭოდან
ხალხი მთაზე ამობარგდა.

VII.

იწყებს გადარჩენის წუთი
ციხკრის ვარსკვლავივით ციაფს,
გიგას ნაღმიანი ყუთი
წყალთან იმედავით მიაქვს.
დილა იპენტრება თეთრად,
ზვირთი ენარცხება ნაპირს,
რეკავს მიგვწყიბოელ ღმერთთან
ზარი გაუქმებულ საყდრის.
გიგას გახსენება თუთქავს;
ოდეს გასისხლლული იწვა,
დაჭრილს უხოთავდა სუნთქვას
მკერდზე გადაყრილი მიწა.
ახლა შეშახაგან გამშრალს
გულზე დახცემია ელდა.
ქარში უფრიალებს თავშალს
ქლდეზე გადმომდგარი დედა.
— გიგა!.. — ჭიუხიდან ჭიუხს
ტალღად ეხლებოდა ეკო.
დილა აბოლებდა ჩიბუხს,
თავქვეშ მთავრებილი იგო.
აბობოქრებულმა წყალმა
გული შეუქანა. მაგრამ
ხმობდა იდუმალი ძალა:
გიგავ, დადექით მაგრად!..
იდგა შეტანანის. დინჯი.
ცეცხლში გარეული მძღოლი,
ხელში ცეროდინა ბიჭით
ხმობდა წარბშეერული ცოლი.
მზარზე წამოიგდო ყუთი...
გიგა უნგიაძე მაშინ
თითქოს მიდიოდა გუდით
ყველის მოსაგუდად ცხვარში.

VIII.

არ ბგავს უნგიაძე უფხოს,
გასჭრა აზიდული ზვირთი,
მაგრამ ფსკერსაკენ უხმობს,
ძირს წევს უმძიმესი ტვირთი.
ცხადი სასწაულის ნახვით
ქრება უძლურობის განცდა:
სერზე შეფენილი ხალხის
ოხვრა დასალიერს გასცდა.
შორით დალანდავენ მაშველს,
მაგრამ გვიანაა, გვიან!..
ზვავზე დარისხებულ სასჯელს
გიგა უნგიაძე ჰქვიან.
რეკავს. აგონიებს ზარები
ბნელი უფსკრულების წყება
და მზე ამორგებულ წყალზე
მთვარის ორეულად წვება.
სავსე პირუტყვული ნალვლით,
დღლილამ მოწრიალი გარეთ,
ყმუის უნგიაძის ძალლი.
მზე თუ იჩვენება მთვარედ,
ალდეებს მიჯარდნილი ზვირთი
ბევრჯერ გაადენდა ზღართანს,
ვიდრე სასიკვდილო ტვირთით
მოყმე მიადწევდა ზვავთან.
მთიელს — დედამიწამოვლილს
ერთი საზრუნავი რჩება:
ყმირს უპირველესყოვლის
წყალთან შერკინება, შებმა.
არა, თავფარავნელ ქაბუკს
არ ბგავს უნგიაძე გიგა,
თოვლს და ალვლებულ ქარბუქს
უკვე გაუცლია სიქა.
ვიდრე სასწაულით მოვა
ზვავის აფეთქების წამი,
ხვიდრთან ბეომარმა დროა,
დროა — ამოსცუროს წყალი.
ზვავს გულდაგულ უწყობს ლაღუმს...
გიგას განზე ისვრის ტალღა.
ხან დაღმა ნოქავს უმოწყალოდ,
ხან ასტყორცნის რისხვით მაღლა.
ჯერ ლაღუმი ფანტელივით
ზვავს არ ამყრის ნაფლეთებად,
სასიკვდილოდ დატენილი
ზვავი ჯერ არ აფეთქდება.
გიგას ჯანში ჩაბოლმილი
სისხლი ეუწყებს ამბოხებას,
დედა, შიშით ჩამოლილი
კლდეს ქიმდან გამოხედავს.
უმზერს დედა: მის შვილს ჭირში
თმები თეთრად შეჭღებია,
დასჭერხვლია თმები ჯიშრის,
თუ ღვარცოფის შეფფებია.
გაღმით გადმომდგარი სერი
რარიგ შესუდრულა თალხით,
რალაც გასაოცარს ელის
ფერდობს შესეული ხალხი.
რალაც საშინელი ხდება;
გიგას სიზმარეულ ახსოვს:
შავშალმობურვილი დედა
სადღაც ეგულება ახლოს.
რეკავს ანთებული მზისფრად



ზარი გაუქმებულო საყდრის
და ზვავს აფეთქების რისხვა
ცაში შადრევნებად ამჭრის,
მთელ ხალხს, საქართველოს, დედას,
სისხლით დაუმტკიცა მძღოლმა,
როგორ შესძლებია ერთ კაცს
დიდი ლაშქარივით ბრძოლა.

IX.

დაიგრიხა წყალში ელვა,
მოუმე ცეცხლის სვეტად იქცა
და გრუხუნმა საშინელმა
შეარყია დედამიწა.
ყრუ და გულშემზარავ ხარხარს
ბოხად დაეჭუხებს ხევი,
ამჩენს ჩალმებულ ხახას
ზვავში ჯამომსდარი ხეული.
ძველ სავალში გადაეშვა
ღვარი ჩქერებდაუმდგარი
და გამოცვლილ ანარფეშად
მთას მიუგდო საგუბარი.
როცა თავგანწირვის ძალა
მოყმის უკვდავებას წერდა,
წარღვნად მოქცეულმა წყალმა
იწყო საგუბარში ნრეტა.
ტალღა გამორეაჟან გაღმით
ზვავთან მოჩხუბარის სხეულს,
გზისპირ დაასვენებს ხალხი
ცხადარს — ნაფლეთებად ქცეულს.

X.

სძინავთ გადარჩენილ სოფლებს,
ხევში ნიალვარი ბღავის...
გიგას ძალგატეხილ მშობელს
ალარ ეძინება ღამით.
ყურში მიაცილებს გარეთ,
სადღაც ეგულება მოუმე.
დედა ეკითხება მგზავრებს:
— გიგას ავტომობილს მოპყე?..
ოდეს ეხამება თვალი,
წარღვნა ერეკლება ცრემლშიც.
მგზავრებს ეკითხება ქალი:
— ხომ არ შეხვედრიხარ ჩემ შვილს?..
დადის. ზეზეურად იწვის,
კი არ ეძგვნება საპყარს,
გული ჩანავლული სიმწრით,
უგავა გაუქმებულ საყდარს.
ხალხი შარაგზაზე დადის
(გიგა უნგიაძის გარდა)
შვილის მოლოდინში. ადის
შავეთს გამგზავრების ვადა.
მოაქვს უძლურობის განცდა
ეუმეურ. ოცაშვილო ნამებს.
როცა შიბრძოლების ნაცვლად
ეოფას ურიგდები მწარეს.
— თუ არ მიუსწარი ბეწვზე,
სიკვდილს გაახარებ მთაჩი.
ზვავის აფეთქება შესძელ.
ან შინ ბეჩავავით დარჩი!..
დედა თავდადებულ ძისგან
ისევ თავგანწირვას ითხოვს.
რომ არ გამონილდეს მიწას
მზისგან ნასესხები სითბო.
ანა უბედობა მოხრის.
დედა იმედია მგზავრთა.
ზვავთან ბეომარი მოყმის
ვისაც შეეძლებია გაზრდა.
მთიელ შვილიშვილთა მწყემსი
მთას არ გაუგზავნის წყევლას.
დიდის სამძიმარი ესმის
ზვავის დამბადებელ მწვერვალს.

მხატვარი ვ. იაშვილი.

ცრუმეცნიერობიდან — ბოროტმოქმედებამდე

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე

ამ საატო დარბაზში, სადაც თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი სამეცნიერო საბჭოს სხდომები იმართება ხოლმე, ტრადიციულად იერარბებიან პედაგოგი-მეცნიეროები, მიმდინარეობს ცხარე პაექრობა ქართული საბჭოთა სამედიცინო მეცნიეროების განვითარების, ექიმთა ახალი თაობების აღზრდის, დოსტატების უაღრესად მიმზიდველოვან პრობლემებზე. ასე იყო ოთხეულთვის, მაგრამ ამჯერად ინსტიტუტის სამეცნიეროო საბჭოს ეს სხდომა, რომელიც აქ ამ დღეებში გაიმართა, თავისი შინაარსითა და დანიშნულებით, მართლაც, რომ უჩვეულო იყო და არა ჰგავდა იმ ტრადიციულ შეხვედრებს. ძეცნიერები მსჯელობდნენ იმაზე, თუ ძათს რიგებში, მათ ხელძღვანელად წლების მანძილზე როგორ იყო ცრუმეცნიერი, პლაგიატის, სიყალბისა და ბოროტმოქმედებათა ჩადენის ხამდვილი ოსტატი.

სამეცნიერო საბჭოს სხდომა, რომელსაც წევრთა დიდი უმრავლესობა — 39 კაცი ეესწრებოდა, გახსნა მისმა თავმჯდომარემ, ინსტიტუტის რექტორმა, პროფესორმა **ო. ღუდუშაურმა.**

როგორც თქვენ ძოგეხსენებათ, — ამბობს იგი, — თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის ყოფილი რექტორი პ. გელბახიანი ამჟამად დამატმრეგულია ძძიე და სერიოზული დანაშაულისათვის — 1962-1972 წლებში ინსტიტუტში ანგარებისა და მექრთამეობის გზით აბიტურიენტთა უკანონოდ ჩარიცხვისათვის. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა პ. გელბახიანი გარიცხა პარტიის რიგებიდან და ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატთა შემადგენლობიდან, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრებამ კი მას ჩამოართვა რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კოროსპონდენტის წოდება და გარიცხა იგი თავისი რიგებიდან.

უკანასკნელ ხანს მრავალი განცხადება, წერილი შემოვიდა იმის შესახებ, რომ პ. გელბახიანის მეცნიერული პროდუქცია არ შეიფერება იმ სამეცნიერო ხარისხსა და წოდებას, რომელიც მას სხვადასხვა დროს მინიჭებული ჰქონდა სამეცნიერო საბჭოს მიერ. ჩვენ შევისწავლეთ პ. გელბახიანის ყველა ის სამეცნიერო შრომა, რომლებიც გამოქვეყნებულია და საკვალიფიკაციო შრომებად არის წარმოდგენილი. აღმოჩნდა, რომ ეს შრომები იყო პლაგიატორის მიერ წარმოდგენილი და მის ავტორს სამეცნიერო კვლევის ნაცვლად უხმარია მაკატელი და წებო, გამოუყენებია და მეთვისებია სხვა მეცნიერთა შრომები.

ამ დასკვნამდე, — ამბობს შემდეგ ო. ღუდუშაური, — ჩვენ მიგვიყვანა რეცენზიებმა ავტორიტეტული მეცნიერებისა, რომლებსაც განხილვისათვის გადაცემული ჰქონდათ პ. გელბახიანის ე. წ. შრომები.

შემდეგ სამეცნიერო საბჭომ არსებული დებულების სრული შესაბამისობით განიხილა მეცნიერთა აზრები, რეცენზენტების დასკვნები და პ. გელბახიანის სამეცნიერო შრომების ვარგისიანობა.

აი ის დასკვნა, რომელიც სამედიცინო ინსტიტუტის მიერ გამოყოფილმა კომისიამ გამოიტანა:

„პ. გელბახიანის სადისერტაციო შრომაში აღწერილი პრეპარატ „ფილიქსანის“ დამზადების მეთოდი (შრომის ძირითადი მიზანი) არ არის ორიგინალური... სამკურნალწამალო საშუალებების დასამზადებლად მას იყენებდნენ სხვა ავტორები პ. გელბახიანამდე დიდი ხნით ადრე. პ. გელბახიანის ნაშრომის დანარჩენი შედეგები არ არის საკმარისად მნიშვნელოვანი, სადოქტორო დისერტაციის თემად რომ გამოდგეს... პ. გელბახიანის სადოქტორო დისერტაციაში არ არის გადაწყვეტილი მხვილი მეცნიერული პრობლემა, რომელიც მნიშვნელოვან წვლილს შეიტანდა თეორიასა და პრაქტიკაში და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭომ მის ავტორს ფარმაცევტულ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი დაუსაბუთებლად მიანიჭა“.

სამეცნიერო საბჭომ აგრეთვე ერთსულოვნად მიიღო კომისიების დასკვნა პრეპარატზე პ. გელბახიანის **საატომო უფლების გაუქმების შესახებ.**

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მიერ გამოყოფილი კომისიის დასკვნაში კი ვკითხულობთ შემდეგს:

„... პ. გელბახიანის შრომაში ლიტერატურული მომოხლვა დაწერილია პრიმიტიულად, უხეშ შეცდომებით, აღწერილი არ არის ფაქტები და გაკეთებული არ არის დასკვნები. რომლებიც შეიძლებოდა ახალი ყოფილიყო მეცნიერებისათვის, ნივთიერებათა ემპირულ ფორმულებს ნიბისმიერად დამატებული აქვს ზედმეტი ატომები, რაც უეჭვის ქვეშ აყენებს ავტორის კეთილსინდისიერებას“...

უაღრესად საინტერესო სტრატი წარმოუდგათ სამეცნიერო საბჭოს წევრებს. როცა წაკითხულ ექნა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის **პ. ქომეთიანის** რეცენზია პ. გელბახიანის წიგნზე „სამედიცინო ფერმენტოლოგიის შეფასება“.

„პ. გელბახიანი იმდენად შორსა დგას ფერმენტოლოგიისგან, რომ თავიდან იბადება ეჭვი იმაში, რომ ეს წიგნი მხოლოდ კომპილაციაა თუ ცუდი ხარისხის პლაგიატი? იბადება კითხვა — სხვამ ხომ არ დაწერა ეს წიგნი, ანდა ხომ არ გადმოიწერა ავტორმა იგი სხვა ნაშრომიდან?.. პ. გელბახიანის წიგნის მეთოდური ნაწილი სიტყვა-სიტყვით იმეორებს ვ. ასათიანის ნაშრომს... პ. გელბახიანის წიგნი ვ. ასათიანის წიგნთან გადმოქართულებული ვარიანტია და ისიც ცუდი ქართული ენით...“.

აი ყოველივე ის, რაც შეეხებოდა კომპეტენტურ კომისიათა მიერ გამოტანილ დასკვნებს. ახლა კი მოვუსმინოთ სამეცნიერო საბჭოს მუშაობაში მონაწილე მეცნიერებს.

პირველ სიტყვას იღებს პროფესორი **რ. ლალიძე.** იგი თავისი კოლეგების სახელით ამბობს:

ჩვენ გულდასმით განვიხილეთ პ. გელბახიანის საკვალიფიკაციო შრომა, რომლითაც მან 1955 წელს დოქტორის სამეცნიერო ხარისხი დაიცვა. დიდი პასუხისმგებლობის გრძნობით შევისწავლეთ ეს შრომა, კერძოდ მისი ქიმიური ნაწილი და ჩვენი მოსაზრებები გამოვთქვით რეცენზიაში, რომელიც წარმოგიდგენთ. გულახდილად და გულწრფელად, დიდი პასუხისმგებლობის გრძნობით მოგახსენებთ, რომ ჩვენი აზრი ასეთია: პ. გელბახიანის სადოქტორო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი საკვალიფიკაციო ნაშრომი ვერ უპასუხებს იმას. რაც სადოქტორო ხარისხის მაძიებელს მოეთხოვება, ამასთან ვერც იმ დროის — 1955 წლის მდგომარეობის დონეს შეესაბამება, როცა ეს დისერტაცია იყო დაცული.

სხდომის მონაწილეებმა შეიკითხეს მისაცემ თავმჯდომარეს იმის შესახებ, თუ უმაღლესმა სატესტაციო კომისიამ რატომ ოამტკიცა დოქტორის ხარისხის მინიჭება. თავმჯდომარე განმარტავს: უმაღლეს საატესტაციო კომისიას არა აქვს საშუალება მოახდინოს დამტკიცებითი რეცენზირება სადოქტორო ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი ყველა ნაშრომისა. ამიტომ ეს კომისია, როგორც წესი, ხარისხს მინიჭებისას ძირითადად ადგილობრივი. სამეცნიერო საბჭოების აზრს ემყარება.

აქედან გამომდინარე ჭეშმარიტია ის შეხედულება, რომ ჩვენმა სამეცნიერო საბჭომ თავის დროზე ვერ გამოიჩინა სათანადო მომთხოვნელობა და პრინციპულობა, საშუალება მისცა გელბახიანს ჩაედინა სიყალბე. ეიოთ გზით მოეპოვებინა სამეცნიერო ხარისხი.

— მე უაღრესად დიდ უპატიოსნობად მიმაჩნია, — ამბობს პროფესორი **გ. მარუაშვილი,** — ის, რომ პ. გელბახიანმა თეატიურად ცალკეული ადგილებიდან ნაშრომი. ოსირცხვილოდ გამოიყენა იგი თავის სადოქტორო დისერტაციაში. ეარძოდ ეს იხება პრეპარატ „ფილიქსანს“, რომელიც ჯერ კიდევ 1948 წლიდან გადმოკოპირება გამოსაცდელად. ამ პრეპარატის მიღების მეთოდი თეატიურად მითვისა პ. გელბახიანმა თავისი პრეპარატის დამზადების დროს. მე პირადად 1955 წელს პ. გელბახიანის შრომის ოპონენტი ვიყავი და ამაში ჩემს ბრძოლაში ვეიაკრიტიკე შრომის ის ნაწილი, რომელიც ეხებოდა ქარხნული წესით პრეპარატის დამზადების ოეიერგასობას. პირდაპირ მიკერძოებული დისერტანტის პ. გელბახიანის ეტიეთრობა, როცა ამ სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე ერეკ კი მოიხსენია საფილოსოფიო ნაშრომში ისინი, ვისაც პრიორიტეტი ეკუთვნოდა ამ საქმეში.

ჩვენი დასკვნები მეცნიერულად არის დასაბუთებული, — ამბობს პროფესორი **დ. გედევანიშვილი.** მე და ჩემმა კოლეგებმა შევისწავლეთ პ. გელბახიანის საკვალიფიკაციო ნაშრომი. არის თუ არა იგი ღირსი. საოქტორო ხარისხის მინიჭებისა? ჩვენ მიერ ნაშრომის გულდასმით შესწავლამ დაგვიწყო, რომ მასში ბევრი რამ გაუგებარია და ამიტომ დისერტაცია არ არის ღირსი, რომ მის ავტორს ჰქონდეს დოქტორის სამეცნიერო ხარისხი.

სამეცნიერო საბჭოს წევრთა თვრმები და გრძნობები გამოხატა თავის გამოსვლაში პროფესორმა **კ. ციხალაძემ:**

დიდი სარცხვილის გრძნობა მალაპარაკებს იმის, რომ ჩვენ ყველანი ვართ დამნაშავე იმაში, რომ ასეთმა ღირსმა ადამიანმა ჩარჩი მოსცხო ქართველ სამეცნიერო მეცნიერებას. რა თქმა უნდა, მე საესებით ვეთანხმები თქვენს აზრს, რომ პ. გელბახიანი არ არის ღირსი ატარებდეს სამეცნიერო ხარისხს. მაგრამ აქვე მინდა ვთქვა ის, რომ დაუსჯელად არ შეიძლება დარჩეოდეს ის პირები, რომლებიც მისი შრომის კონსულტანტები, ოპონენტები იყვნენ და მაღალი შეფასება მისცეს. რა გაკვირეს თვით სამეცნიერო საბჭოს წევრებმა, რომლებიც მონაწილეობდნენ ხარისხის მიცემაში და როცა საკითხი იხილებოდა გელბახიანისადმი მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მინიჭებაზე?

სხდომაზე გამოსული მეცნიერების **ე. ფიფიას, ა. მინდაძის, ვ. ანთაძის, ვ. ოკუჯავას, რ. ხოფერიას, ა. მშვიდობაძის** და სხვათა სიტყვები, აზრები გამსჭვალული იყო ღიდი ალშფოთებით იმ დანაშაულებათა გამო, რაც ქართულ სამედიცინო მეცნიერებას, ექიმთა მომავალი თაობების აღზრდის საქმის მიაყენა თვითმარქვია მეცნიერმა — პ. გელბახიანმა. სხდომაზე განსაკუთრებით ხაზი გაესვა იმას, რომ ასეთი ღირსი, დაბალი ეკალიფიკაციის ნაშრომისათვის სამეცნიერო ხარისხის მინიჭება გამოწვეულია ჩვენში ჯერ კიდევ საკმაოდ გავრცელებული მანკიერი გადმონაშთის — პროტექციონიზმის, მოვლენების შეფასებისადმი ლიბერალური დამოკიდებულების შედეგად. სწორედ ამით უნდა აიხსნას ისეთი ფაქტების შექმნა, როცა ცრუმეცნიერმა და პლაგიატორმა შეძლო მეცნიერთა რიგებში მაღალი ადგილის დაკავება.

ამ პრინციპულმა, გულახდილმა, გულწრფელმა მსჯელობამ, ნამდვილ მეცნიერულ დონეზე საკითხის განხილვამ თავისი ლოგიკური შედეგი გამოიღო. სამეცნიერო საბჭომ დიბულების სრული შესაბამისობით ფარული კენჭისყრით ერთხმად, 39 ხმით მიიღო გადაწყვეტილება: **პ. გელბახიანს ჩამოერთვას მეცნიერებათა კანდიდატისა და დოქტორის სამეცნიერო ხარისხები, დოცენტისა და პროფესორის წოდებები.**

ჩ. გივიშვილი.

ᲐᲥᲪᲘᲐ

დღეს, 5 დეკემბერს, თბილისში მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, მცირე ნალექი, ნისლი, სუსტი ქარი, ტემპერატურა 7-9 გრადუსი სითბო.

„საქართველოს აგიტატორი“ № 23

გამოვიდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ჟურნალ **„საქართველოს აგიტატორის“** მორიგი, ოცდამესამე ნომერი.

სსრ კავშირი — იუგოსლავია

31:15 საბჭოთა გუნდის სასარგებლოდ

□ მაია ჩიბურდანიძის აბსოლუტურად საუკეთესო შედეგი □ მსოფლიოს ჩემპიონი უარს აცხადებს ორ ჯულაზე □ წარსულისგან განსხვავებით

ᲓᲐᲛᲘᲡᲐᲕᲐᲠᲯᲚᲐ ეე არა მეოთხე ტური, გუნდების კაპიტნებს შორის მოლაპარაკება გაიმართა ცალკეული გადადებული თუ გამოტოვებული პარტიებია შესახებ. ეიკოვიჩი კვლავ ავად აოია, მაგრამ ნონა გაფრინდაშვილმა უარი თქვა ორ დარჩენილ პარტიაში უბრალოდ ორი ქულის მიღებაზე. ამიგდან ჩაითვლება, რომ ამ პირად მატჩში სულ ორი შეხვედრა გათამაშდა. ვასიუკოვი და ველმინროვიჩი ორ გადადებულ შეხვედრაში ყაიმზე შეთანხმდნენ. აიეთეკენ შედეგით დასრულდა მატულოვიჩ-კუზმინის მესამე ტურის პარტიაც. ასევე დაზავდნენ მარინოვიჩ-ანჩიჩენკო და ჟურიჩ-მაჩულსკი. ჩიბურდანიძემ მეოთხედ მოუგო კალბრენერს.

ამრიგად, მატჩის საბოლოო ანგარიშია 31:15. საბჭოთა მოგზაურებმა გაიმარჯვეს. როგორც ვაყთა, ისე ქალთა და ჟაბუკთა შეხვედრებში, ამასთან, წარსული ასპარეზობებისაგან განსხვავებით, არცერთი იუგოსლავიელს არ მოუგია პირადი მატჩი.

აი შეხვედრათა შედეგები დაფების მიხედვით.

პირველი დაფა: **პეტროსიანი-ბლიგორიჩი** — 2:2;

მეორე დაფა: **გელერი-ივკოვი** — 2,5:1,5 (მეოთხე პარტიაში გელერის ნაცვლად თამაშობდა **ჯინჯიხაშვილი);**

მესამე დაფა: **კუზმინი-მატულოვიჩი** — 2,5:1,5 (მეოთხე პარტიაში კუზმინის ნაცვლად თამაშობდა **რაზუვაევი);**

მეოთხე დაფა: **ტიმანოვი-პარმა** — 2:2;

მეხუთე დაფა: **ვასიუკოვი-ველმინროვიჩი** — 2:2;

მეექვსე დაფა: **ვაპანიანი-რუკავინა** 3:1 (მესამე პარტიაში ამ დაფაზე ითამაშეს **ჯინჯიხაშვილმა** და **ივანოვიჩმა,** მეოთხე პარტიაში ვაპანიანის წინააღმდეგ ითამაშა **ივანოვიჩმა).**

ᲥᲐᲚᲗᲐ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ დაფა: **გაფრინდაშვილი-ეიკოვიჩი** — 2:0;

ᲥᲐᲚᲗᲐ ᲛᲔᲝᲠᲔ დაფა: **შული-კონარკოვსკაია-ოკოლოვა** — 2,5:1,5;

ᲥᲐᲚᲗᲐ ᲛᲔᲡᲐᲛᲔ დაფა: **ჩიბურდანიძე-კალბრენერი** — 4:0 (მატჩის აბსოლუტურად უკეთესი შედეგი).

ᲭᲐᲑᲣᲗᲐ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ დაფა: **პანჩენკო-მარიანოვიჩი** — 3:1;

ᲭᲐᲑᲣᲗᲐ ᲛᲔᲝᲠᲔ დაფა: **მიხალჩიშინი-მილოვანოვიჩი** — 3,5:0,5;

ᲭᲐᲑᲣᲗᲐ ᲛᲔᲡᲐᲛᲔ დაფა: **მაჩულსკი-ჟურიჩი** — 2:2.

გუშინ მეგობრული მატჩი საზეიმოდ დაიხურა.

გ. გამრეკელი.

სამი კითხვა მონაწილეებს

ს. გლიგორიჩი.

ბ. ივკოვი.

ბ. პეტროსიანი.

ნ. გაფრინდაშვილი.

ჩვენი კორესპონდენტი უწვია საბჭოთა კავშირი-იუგოსლავიის მატჩია მონაწილეება და მიეცა მათ შემდეგი 3 კითხვა.

1. რას იტყვით საბჭოთა კავშირ-იუგოსლავიის მოჭადრაკეთა მორიგ მატჩზე?

2. თქვენი შემდგომი გეგმები?

3. რას იტყვით ნორჩ მოჭადრაკე მაია ჩიბურდანიძის წარმატებაზე?

ᲡᲕᲔᲢᲝᲖᲐᲠ ᲒᲚᲘᲒᲝᲠᲘᲩᲘ (იუგოსლავია)

გროსმაისტერი

1. წაგება არავისთვის არასდროს არ ყოფილა სასიამოვნო, მაგრამ ეს ხომ მაინც აპზანაგური მატჩია. ჩვენი გროსმაისტერები შეუპოვრად იბრძოდნენ და შედარებით მცირე ანგარიშით წაადგეს. სამაგიეროდ ვერაფერი გაეწყვა ჩვენმა ქალებმა და ჭაბუკებმა, სადაც მხოლოდ ჯურიჩმა გამოიჩინა თავი.

მე სისტემატურად ვმონაწილეობ საბჭოთა კავშირ-იუგოსლავიის მატჩებში, ეს არის ჩემი ერთერთი ისეთი შეჯიბრება, სადაც პირველ რიგში ქულებზე კი არ ვფიქრობ, არამედ შემოქმედებითს მხარეზე.

2. ჩემი საკადრაკო წელი, როგორც ყოველთვის, პასტანგსის საახალწლო ფესტივალით იწყება. არც ახლა ვაპირებ რაიმეს შეცვლას. ბევრი ქვეყნიდან მივიღე მიწვევა, ვნახოთ, ისე კი, ეტყობა, გაისად ბევრ ტურნირში მომიხდება თამაში. საკადრაკო ტურნირებმა მსოფლიოში საოცარად იმატეს და ჩვენ, გროსმაისტერებს, აქეთ-იქით გვიწევთ.

3. ხომ სასიამოვნო იყო ამ მშვენიერ საკადრაკო სასახლეში თამაში, მაგრამ კიდევ უფრო სასიამოვნო — ნორჩი მოჭადრაკის მაია ჩიბურდანიძის გაცნობა. 12 წლის ასაკში ასეთნაირად მოთამაშე გოგონა კი არა, ბიჭიც არსად მეგულება. თქმა არ უნდა, მაიას დიდი მომავალი აქვს.

ᲑᲝᲠᲘᲡᲚᲐᲕ ᲘᲕᲙᲝᲕᲘ (იუგოსლავია)

გროსმაისტერი.

1. საბჭოთა კავშირ-იუგოსლავიის მეგობრულ მატჩებში სისტემატურად ვმონაწილეობ, 1966 წელს სოხუმში ვითამაშე, ასე რომ საქართველოზე აქამდეც მქონდა წარმოდგენა. მაშინ მე გურგენიძეს ვეთამაშე, ახლა ჯინჯიხაშვილს, რომელიც, ეტყობა, სადაც არის გროსმაისტერი გახდება. მისი ამასწინანდელი წარმატება პირველ საკავშირო ლიგაში ჩემთვის კარგად იყო ცნობილი. მე ხომ ჟურნალისტიც ვარ, ხშირად ვწერ ბელგრადის გაზეთ „პოლიტიკაში“.

თბილისისთანა ჭადრაკის სასახლე ახლა მსოფლიოში არ არის.

2. ხშირმა სატურნირო გამოსვლებმა ისე გადამღალეს, რომ ხანგრძლივი დასვენება გახდება აუცილებელი, მარტამდე არსად არ ვითამაშებ, მარტში კი მიწვეული ვარ სან-პაულუს (ბრაზილია) დიდ საერთაშორისო ტურნირში. ამბობენ, რომ ტურნირზე პელეც ივლის, რომელიც ჭადრაკის დიდი მოყვარულია. აქ ითამაშებენ ლარსენი, ლიუბოეიჩი, მეკინგი, პანო, ორი უძლიერესი საბჭოთა გროსმაისტერი, ორი წამყვანი მოჭადრაკე ამერიკის შეერთებული შტატებიდან [illegible] სხვა. ტურნირი, როგორც ვიდავთ, მართლაც რომ შესანიშნავი იქნება.

3. ვინმეს რომ მატჩამდე ეთქვა [illegible] შორისო ოსტატი ელასტა კალხბრენერი ვერაფერს გასდგება 12 წლის გოგონასთანო, ცხადია, ამას არავინ დაიჯერებდა. ახლა უკვე გარკვეითად შეიძლება ვთქვათ, რომ მაია ჩიბურდანიძე უნიკალური მოჭადრაკეა, თუ გნებავთ, „ქალთა ფიშერიც“. პირდაპირ გასაოცარია მისი ბაბრიანობა და შეტევის წარმართვის უნარი. მე ძალიან მაინტერესებს, როგორი შედეგით გამოვა იგი ქალთა საკავშირო ჩემპიონატში.

ᲢᲘᲒᲠᲐᲜ ᲞᲔᲢᲠᲝᲡᲘᲐᲜᲘ

მსოფლიოს ექს-ჩემპიონი.

1. იუგოსლავიელ მოჭადრაკეებს ბევრჯერ შეგხვედრივართ. ძალიან კარგია, რომ ეს მატჩი თბილისში გაიმართა, სადაც გავატარე ჩემი ბავშვობა და სიტაბუკე, ბევრი მეგობარი მყავს აქ. თუმცა ჩემს დროს არ იყო ასეთი მშვენიერი საჭადრაკო სასახლე.

2. იანვარში პრეტენდენტთა მატჩის თამაში მელის პორტიშთან, ესპანეთში. შემდეგ კი ვნახოთ...

3. მაია ჩიბურდანიძეზე ყველაზე კარგად მისი შედეგები მეტყველებენ.

ᲜᲝᲜᲐ ᲒᲐᲤᲠᲘᲜᲓᲐᲨᲕᲘᲚᲘ,

მსოფლიოს ჩემპიონი.

1. მე ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასზე უნდა მეთამაშა, მაგრამ ამჯერად ორგანიზატორებს უარი ეთქვა. საქმე იმაშია, რომ მაინტერესებდა საბჭოთა კავშირ-იუგოსლავიის მატჩში მონაწილეობა და, გარდა ამისა, 14 დეკემბერს ხომ თბილისში ქალთა საკავშირო ჩემპიონატი იწყება.

ჩემი მეტოქე ეიკოვიჩი ავად გახდა. ეს ყოველთვის უსიამოვნო ფაქტი გახლავთ. ასე რომ ოთხის ნაცვლად ორ პარტიას დავჯერდი. მატჩის საბოლოო შედეგი უდავოდ კანონზომიერია. მართალია, ორივე მხარეს რამდენიმე გამოჩენილი მოჭადრაკე აკლდა, მაგრამ ამ ნაკრებებს შორის ძალთა რეალური შეფარდება, ვფიქრობ, არ დარღვეულა.

2. როგორც გითხარით, საკაა ჩაეებმები ქალთა საკავშირო ჩემპიონატში, რომლის მომზადებლობა ამჯერად მეტისმეტად ძლიერია. წამყვანი მოჭადრაკეებიდან არ იქნება მხოლოდ კუშნირი, რომელიც ჩემს ნაცვლად გაეგზავნა იუგოსლავიაში ჩემპიონთა თასზე სათამაშოდ. მე ეშვიათად მიხდება საკავშირო ჩემპიონატებში მონაწილეობა, ამიტომ მთთ უმეტეს მაინტერესებს აქ გამოსვლა. მარტში ვითამაშებ ბელგრადის ქალთა ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირში.

3. მაია ჩიბურდანიძეზე კარგახანია მიიქცია ჩემი ყურადღება. მე მას უკვე შეეხვდი ერთდროული თამაშის სეანსში, შემდეგ თბილისის საერთაშორისო ტურნირში. ეეჯვარეშეა, იგი ფრიად ნიჭიერი გოგონაა, რომელმაც სავსებით დაიმსაბურა თავისი ახლანდელი დიდი წარმატებები.

ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ





ბორჯომი — ქალაქი-კურორტი

ᲑᲝᲠᲯᲝᲛᲘᲡᲐ და მის ძვირფას სამკურნალო წყალს კარგად იცნობს მთელი მსოფლიო.

შესანიშნავ ქალაქ-კურორტში, რომელიც ლამაზ ხეობაშია, ყოველწლიურად იკაეებს ჯანმრთელობას ათასობით მშრომელი ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხიდან.

წლითიწლობით უმჯობესდება და კეთილმოწყობილი ხდება ჯანმრთელობის ეს შესანიშნავი კერა. შენდება სანატორიუმების ახალი მრავალსართულიანი კორპუსები, პანსიონატები, დასასვენებელი სახლები, ბალნეოლოგიური სამკურნალოები, მინერალური წყაროების ლამაზად გაფორმებული ბიუვეტები.

აქ შენდება მაგალითად, მრავალსართულიანი სანატორიუმი „მთიანი ხეობა“, რომელიც ქალაქ-კურორტის ერთ-ერთი ყველაზე კომფორტაბელური და კეთილმოწყობილი შენობა იქნება.

მიმდინარეობს ბორჯომის სამკურნალო კერების აღჭურვა ახალი უნიკალური ხელსაწყოებით და საგამოკვლევო აპარატურით.

ზემო სურათზე, მარჯვნივ — სანატორიუმ „ლიკანის“ კლინიკური ლაბორატორიის ექიმი ნ. ტიტტიშვილი კოლონოსკოპის დახმარებით ფოტოგრაფიულად ილებს და იკვლევს კუჭ-ნაწლავებს; მარცხნივ — ბორჯომის პანსიონატის ახალი ბიუვეტი; ლამაზდება და კეთილმოწყობილი ხდება ბორჯომის ცენტრი. ქვემო სურათზე თქვენ ხედავთ ქალაქის ახალ მრავალსართულიან ადმინისტრაციულ შენობას.

ს. კილაძე.
ავტორის ფოტო.

სპორტული ქრონიკა

ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ. მსოფლიოს ჩემპიონატის ცენტრალური ამერიკისა და კარიბის ზღვის აუზის შესარჩევი ჯგუფის ფაგორიტმა — მექსიკის ნაკრებმა ფრედ — 0:0 ითამაშა გვატემალის გუნდთან და 1:1 — გონდურასის ნაკრებთან.

ᲙᲘᲝᲠᲘᲜᲗᲘ მდებარე უიფა-ს შტაბ-ბინაში გაამოცხადეს რომ ევროპის ჩემპიონთა თასის გათამაშების ფინალი ფებბურთში გაიმართება 19/4 წლის 15 მაისს ბრიუსელში, ხოლო თასების მფლობელთა თასის გათამაშების ფინალი — 8 მაისს როტერდამში.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ „დინამოს“ მეტოქემ უეფა-ს თასის გათამაძებაში — ლონდონის „ტოტენჰემმა“ ინგლისის ჩემპიონატის მორიგ ტურში წაგო „ლეისტერ-სიტის“ კლუბთან — 0:3 და კვლავ მე-16 ადგილზე იმყოფება.

ᲑᲐᲓᲛᲘᲜᲢᲝᲜᲘ. სოხუმში დამთავრდა საქართველოს პირად-გუნდური პირველობა ბადმინტონში, რომელშიც მონაწილეობდნენ თბილისის (რონ), აფხაზეთის, აჭარისა და რუსთავის გუნდები. გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვეს თბილისელებმა. მათ ფინალში ანგარიშით 6:2 დაამარცხეს მასპინძლები. ჩემპიონები გახდნენ: ქალთა შორის რიტა ოკინაშვილი, ვაჟებში — ალექსანდრე დავიდოვი (ორივე — თბილისი). მათვე მოიპოვეს გამარჯვება წყვილთა შორისაც.

ᲮᲔᲚᲑᲣᲠᲗᲘ. გუშინ თბილისის სპორტის სასახლეში გაიმართა გაზეთ „ხარია ვოსტოკას“ პრიზის გათამაშების — საერთაშორისო ტურნირის მორიგი, მესამე ტური.

სსრ კავშირის ახალგაზრდულმა ნაკრებმა დამაბეულ ბრძოლაში წაგო რუმინეთის ხელბურთელებთან — 15:18 (10:10). მეორე დამარცხება განიცადა ოლიმპიურმა ჩემპიონმა — იუგოსლავიის ნაკრებმა, რომელსაც სძლია ბერ-ის გუნდმა — 18:15 (9:8). სსრ კავშირის პირველი ნაკრების უპირატესობა საქართველოს გუნდთან აშკარა იყო, რაც ანგარიშშიც გამოიხატა — 23:12 (9:4).

სამი დღის ასპარეზობის შემდეგ წინ არიან სსრ კავშირის გუნდები, რომლებსაც სამსამი გამარჯვება აქვთ. ლიდერები ერთმანეთს ხვდებიან ხვალ. დღეს ტურნირზე დასვენების დღეა.

ᲒᲐᲖᲗᲘᲗ „ᲙᲝᲛᲔᲜᲘᲡᲢᲘᲡ“ შემდეგი ნომერი გამოვა პარასკევს, 7 დეკემბერს.

რედაქტორი
დ. მჭედლიშვილი.

ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲐ

5 დეკემბერი

პირველი პროგრამით

10.35 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.45 — მოსწავლეთათვის. კონცერტი „პიონერული მეგობრობა“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.35 — „მოსწავლეთათვის. „ძმობისა და მეგობრობის ენა“, 12.00 — დოკუმენტური ფილმი „ჩილე, ჟაკი ბრძოლისა, ეამი მოელვარებისა“, (ქართულ ენაზე), 13.00 — ამხანაგური შესხვედრა ფეხბურთში „დინამო“ (თბილისი) — „დინამო“ (კიევი), 14.45 — საქართველოს ფერადი ტელევიზია „მულტპანორამა“, 15.05 — კინონარკვეი, 16.20 — საქართველოს ფერადი ტელევიზია. „საქართველოს ტელევიზიის მხატვრართა გამოფენა“, 16.45 — „საბჭოთა ტანმოვარჯიშეების გამარჯვება“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 17.30 — „ამკარა — დაუჯერებელი“. სტუდიაში — პროფესორი ს. კაპიცა. (გადმოცემა მოსკოვიდან), 18.30 — „მეგობრობის ენა“ — „ქართული პოეზია რუსულად“, 20.15 — კინონარკვეი, 20.25 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 20.50 — სატელევიზიო მრავალსერიანი მხატვრული ფილმი „გაზაფხულის ჩვიდმეტი გაელვება“ (V სერია), 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — საესტრადო კონცერტი „ჩემი სამშობლოს მელოდიები“.

მეორე პროგრამით

19.05 — განცხადებები, 19.10 — დოკუმენტური ფილმი, 19.50 — „კინოაფიშა“, 20.20 — მხატვრული ფილმი „საბჭოთა კავშირის ელჩი“.

6 დეკემბერი

პირველი პროგრამით

16.30 — უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელთა დასასმარებლად — ლექციები: ქიმიაში, 17.15 — სსრ კავშირის ისტორიაში; 18.00 — განცხადებები, 18.05 — კინონარკვეი, 18.25 — მოსწავლეთათვის „ერთ კომკავშირულ კრებაზე“, 19.05 — ბოსტნეულის სიკეთე, 19.15 — ახალი სატელევიზიო ანბა (განმეორებით), 19.25 — „მიწა გონივრულად გამოვიყენოთ“, 19.40 — „მილიონთა ლენინური უნივერსიტეტი“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 20.10 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 20.45 — სატელევიზიო მრავალსერიანი მხატვრული ფილმი „გაზაფხულის ჩვიდმეტი გაელვება“ (VI სერია), 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — „უკრავს მარინე მდივანი“, 23.00 — ახალი ამბები.

მეორე პროგრამით

18.05 — სკოლების დასასმარებლად — მათემატიკა (VI-კლასელთათვის. ფუნქციები და მათი გრაფიკები), 18.50 — სტუდენტთა დასასმარებლად — ლექციები